პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 196 (11502)
კვირა.
23
აგვისტო
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე

ს. კრასოვსკი,

საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის მარშალი.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ უზრუნველყო საბჭოთა საჰაერო ფლოტის სწრაფი განვითარება. ვ. ი. ლენინის ინიციატივით პარტია და მთავრობა საჰაერო ფლოტის შექმნას შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველივე დღეებიდან, მიაჩნდათ რა იგი ქვეყნის თავდაცვისათვის და მისი სახალხო მეურნეობისათვის საჭირო მძლავრ ძალად.

ყველაზე სრულ აყვავებას საბჭოთა საჰაერო ფლოტმა მიაღწია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წლებში, როცა მრეწველობის ახალ დარგებს შორის ჩვენში შეიქმნა პირველხარისხოვანი საავიაციო მრეწველობა.

მამაცმა საბჭოთა მფრინავებმა თავიანთი მიღწევებით მთელი მსოფლიო გააოცეს. პირველხარისხოვანი სამამულო მანქანებით მათ დაამყარეს მრავალი მსოფლიო რეკორდი ფრენის სიშორის, სიჩქარის და ტვირთამწეობის დარგში. ჩკალოვისა და გრომოვის ეკიპაჟებმა მსოფლიოში პირველებმა გაკაფეს გზა ევროპიდან ამერიკაში ჩრდილოეთ პოლუსის გავლით. 1940 წელს სსრ კავშირმა საავიაციო რეკორდების რიცხვის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი დაიჭირა (168-დან 62). იმავე წლებში საბჭოთა მფრინავებმა ცხადყვეს თავიანთი საბრძოლო ოსტატობა და სამშობლოსადმი ერთგულება, გმირულად იბრძოდნენ რა იაპონელი მილიტარისტებისა და თეთრფინელების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ მოესინჯათ საბჭოთა საზღვრების სიმტკიცე.

საბჭოთა ავიაციის ძლიერება, მისი მეომრების გმირობა, მამაცობა, საბრძოლო ოსტატობა განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის წლებში გამოვლინდა. ჩვენმა მფრინავებმა სხვა გვარეობათა ჯარების მეომრებთან ერთად სამამულო ომის მატიანეში ჩაწერეს მამაცობისა და მასობრივი გმირობის დაუვიწყარი ფურცლები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა მეომრების უსაზღვრო ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი, მათს ერთგულებას კომუნისტური პარტიის საქმისადმი.

მტერზე გამარჯვების მიღწევაში დიდი როლი შეასრულა სამოქალაქო საჰაერო ფლოტმაც. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავებს გადაჰქონდათ სტრატეგიული ნედლეული, მასალები და მოწყობილობა თავდაცვითი ქარხნებისათვის.

გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის 200 ათასზე მეტი ავიატორი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, 2 ათასზე მეტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 69 სახელგანთქმული მფრინავი ორგზის გმირი გახდა, ხოლო ორი — პოკრიშკინი და კოჟედუბი, რომლებმაც შესაბამისად მტრის 59 და 62 თვითმფრინავი ჩამოაგდეს, — სამგზის დაჯილდებულია „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით.

დიდ სამამულო ომში მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება რომ მოიპოვა, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით სწრაფად მოიშუშა ის ჭრილობები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ჰიტლერელმა დამპყრობლებმა მიაყენეს, და ახალი ენერგიით გასწია თავისი სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

სამამულო მეცნიერებამ და ტექნიკამ ამ ხნის განმავლობაში გიგანტური ნახტომი გააკეთეს.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების სწრაფმა ზრდამ და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის დიდმა მიღწევებმა, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე წარმატებებმა შესაძლებლობა მოგვცა აღგვეჭურვა ჩვენი შეიარაღებული ძალები ყველა სახეობის თანამედროვე იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით. ჩვენ ახლა გვაქვს ატომგულისა და თერმოატომგულის უდიდესი სიმძლავრის სხვადასხვა იარაღი, ხოლო საბჭოთა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს შეუძლიათ დარტყმა მიაყენონ აგრესორს დედამიწის ყოველ წერტილში.

ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ და ომი არა გვსურს. მაგრამ იძულებული ვართ მზად გვყავდეს ჩვენი შეიარაღებული ძალები, სანამ დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ თავდასხმის საფრთხე. აი რატომ არის, რომ ომისშემდგომ წლებში ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღება და ტექნიკური აღჭურვილობა. 1942 წელს მფრინავმა ბახჩივანჯიმ მოახდინა პირველი გაფრენა რეაქტიულძრავიანი თვითმფრინავით. ახლა კი რეაქტიულმა ტექნიკამ შეცვალა დგუშიანი ძრავები და საბჭოთა ავიაციის საფუძველს შეადგენს.

გამანადგურებელი თვითმფრინავები ზებგერითი სიჩქარეებით ფრინავენ და წარმატებით ასრულებენ სასწავლო-საბრძოლო დავალებებს სტრატოსფეროში. რადიოლოკაცია, ტელემექანიკა და ავტომატიკა, რომლებიც გამოყენებულია ჩვენს ავიაციაში, კიდევ უფრო აფართოებენ თვითმფრინავთა საბრძოლო შესაძლებლობებს და საშუალებას აძლევენ ჩვენს მფრინავებს შეასრულონ დავალებანი დღეღამის ყოველ დროს, ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში.

ჩვენში მსოფლიოში პირველად ათვისებულია „ტუ-104“ რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავების მასობრივი ექსპლოატაციისათვის. მათ შემდეგ საჰაერო მაგისტრალებზე გამოვიდნენ მძლავრი და კომფორტაბელური ტურბინ-ხრახნიანი ხომალდები „ილ-18“ და „ან-10“ და, ბოლოს, გიგანტი თვითმფრინავი „ტუ-114“, რომელმაც სარეკორდო ძირდაუშვებელი გადაფრენა მოახდინა მოსკოვიდან ნიუ-იორკში.

სამოქალაქო ავიაცია არა მარტო ტრანსპორტის საშუალებაა. იგი უაღრესად მრავალფეროვან სამუშაოებს ასრულებს სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში. თვითმფრინავების საშუალებით წარმოებს მასობრივი ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების გიგანტურ მასივებში ხდება სასუქების შეტანა, წარმოებს ჩვენი თვალუწვდენი ტყეების დაცვა ხანძრებისაგან, უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარება შორეული რაიონების მოსახლეობისადმი. თვითმფრინავები და ვერტმფრენები ეწევიან გეოლოგიურ ზვერვას, პატრულობენ თევზსაჭერ გემებს, ეძებენ თევზს და სხვ.

საბჭოთა ხალხს უყვარს თავისი ავიაცია. ამ სიყვარულის დამაჯერებელი გამოხატულებაა მშრომელთა მასობრივი მონაწილეობა საავიაციო სპორტში. ასეულ ათასობით პატრიოტი გატაცებით მეცადინეობს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებში.

საჰაერო ფლოტის დღის წინადღეებში ავიატორმა-სპორტსმენებმა ახალი შესანიშნავი რეკორდებით გაახარეს სამშობლო. ისინი ბეჯითად აღწევენ იმას, რომ იფრინონ ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად და ყველაზე მაღლა და მტკიცედ გამოვიდნენ წინ ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით. ყველას ახსოვს ამასწინანდელი ზეშორი გაფრენა ჩვენი ორი თვითმფრინავისა, რომლებმაც ძირდაუშვებლად და ჰაერში საწვავის დამატებით მიუღებლად 21 საათში 17.000 კილომეტრზე მეტი დაფარეს. ხოლო სერიული თვითმფრინავების ასვლა დაახლოებით 29.000 მეტრ სიმაღლეზე და რეკორდული გაფრენები სტრატოსფეროში კომერციული ტვირთით — განა ეს საბჭოთა საავიაციო ტექნიკისა და ჩვენი ავიატორების ოსტატობის კოლოსალურ ზრდას არ მოწმობს!

ჩვენი ავიატორები, მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, რომლებსაც დიადი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მთელი საბჭოთა ხალხის სიყვარულით, მზრუნველობითა და ყურადღებით გარემოსილნი, კვლავაც იბრძოლებენ იმისათვის, რომ იფრინონ ყველაზე შორს, ყველაზე სწრაფად და ყველაზე მაღლა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის.



თბილისის ცაზე.

ფოტომონტაჟი ვლ. გინზბურგისა.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 249

1959 წლის 23 აგვისტო ქ. მოსკოვი

ამხანაგო მფრინავებო და შტურმანებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საჰაერო მსროლელებო და რადისტებო, ავიაციის შექანიკოსებო და მოტორისტებო, საავიაციო მრეწველობის მუშაკებო, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენებო!

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდებარენო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს ჩვენი სამშობლო დღესასწაულობს სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს და აღნიშნავს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს საბჭოთა ავიაციის განვითარებაში. მომდინარე წელს ეს დღესასწაული იმართება სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის ვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის, შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. არმიის, ავიაციისა და ფლოტის მეომრები ფხიზლად იცავენ მის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ ავიაციის მთელ პირად შემადგენლობას ახალ წარმატებებს თავისი მხედრული ოსტატობისა და პოლიტიკური მომზადების შემდგომ სრულყოფაში, საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის ჩინებულად დაუფლებაში, სამხედრო დისციპლინისა და ორგანიზებულობის ამაღლებაში, ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცებაში.

სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის მუშაკებს ვუსურვებ ახალ მიღწევებს შინაგანი და საერთაშორისო ავიახაზების ათვისებაში; საავიაციო მრეწველობის კონსტრუქტორებს, მეცნიერებსა და მუშაკებს — პირველხარისხოვანი საჰაერო ხომალდების შექმნასა და მშენებლობაში; არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს — საავიაციო სპორტის ფართოდ განვითარებას, ფრენის ოსტატობის სრულყოფასა და ახალი სპორტული რეკორდების დამყარებას.

სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის აღსანიშნავად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დღეს, 1959 წლის 23 აგვისტოს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში მიცემული იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს და მის სახელოვან საჰაერო ფლოტს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც აშენებს კომუნისტური საზოგადოების დიდებულ შენობას!

დიდება საბჭოთა კავშირის ბრძენ კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ყალმუხეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ყალმუხეთის ასსრ მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებებისათვის და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყალმუხი ხალხის ნებაყოფლობით შესვლის 350 წლისთავის აღსანიშნავად **ყალმუხეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1959 წლის 21 აგვისტო.

ამხანაგი მეჰმეთ შეჰუ საქართველოში

21 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი მეჰმეთ შეჰუ, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება დასასვენებლად ოჯახითურთ. საქართველოში ყოფნის პირველ დღეს მან ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილისა და ამხანაგ ჯ. ვ. კოვანოვის თანხლებით დათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ხოლო შემდეგ ეწვია სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას რუსთავში, დათვალიერა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა და კრწანისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

22 აგვისტოს საპატიო სტუმარი იყო კახეთის რაიონებში, სადაც განსაკუთრებით აინტერესებდა მას მევენახეობის განვითარება.

ამხანაგ მეჰმეთ შეჰუს საქართველოს მშრომელები ყველგან ხვდებიან დიდი გულთბილობითა და გულითადობით, გამოხატავენ მომძე ალბანელი ხალხისადმი მხურვალე სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებს. (საქდესი).

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟს

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ კივუ სტოიკას

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ იონ გეორგე მაურერს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გიგზავნით თქვენ და თქვენი სახით მთელ რუმინელ ხალხს ყველაზე მხურვალე მოლოცვებს ეროვნული დღესასწაულის — ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 15 წლისთავის გამო.

სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა რუმინელი ხალხის ცხოვრებაში. ამას მოჰყვა ის, რომ რუმინეთი გადაიქცა ნამდვილად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და დაადგა სოციალისტური განვითარების ფართო გზას.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ძმურ ოჯახში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ, რომელმაც განახორციელა დიდი რევოლუციური გარდაქმნები, მოკლე ისტორიულ ვადაში მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, განამტკიცა თავისი საგარეო პოლიტიკური პოზიციები.

სახალხო ხელისუფლების წლებში რუმინეთის მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ომამდელ დონეს. ნავთობის მრეწველობასთან ერთად რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება მანქანათმშენებლობა, ლითონდასამუშავებელი და ქიმიური მრეწველობა. ყოველ წელს განუხრელად იზრდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი, მაღლდება რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონე.

რუმინელმა ხალხმა ამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია რუმინეთის მუშათა პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით, რომელიც თავის მოღვაწეობაში მტკიცედ და თანამიმდევრულად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით.

საბჭოთა ადამიანებს გულწრფელად ახარებთ გამარჯვებები, რომლებიც მოიპოვა მომძე რუმინელმა ხალხმა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები, აკავშირებთ რა ურღვევი მეგობრობა, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრანიტის საფუძველზე ვითარდება, მტკიცე რწმენით მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით.

ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ერთად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად იბრძვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამანადგურებელი ატომური ომის თავიდან აცილებისათვის. სოციალისტურ სახელმწიფოთა მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა სულ უფრო ფართო აღიარებას ჰპოვებს და მას სულ უფრო მეტად უჭერს მხარს საერთაშორისო საზოგადოებრიობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გისურვებთ თქვენ და მთელ მომძე რუმინელ ხალხს ახალ წარმატებებს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში თქვენი მშვენიერი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების განმტკიცების ინტერესებისათვის.

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა და რუმინელი ხალხების მარადიული ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ს. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ე. ვოროშილოვი

1959 წლის 22 აგვისტო.

საზეიმო სხდომა თბილისში

22 აგვისტოს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ.

მოხსენება სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის გენერალ-მაიორმა პ. მ. ბერესტნევმა.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი. პარკში მოეწყო დიდი სეირნობა. (საქდესი).

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1959 წლის 21 აგვისტოსათვის

	გეგმის შესრულება პროცენტობით წლიური გეგმისა	აგვისტოსი წინა თვის დანაკლისის ჩათვლით
ქობულეთის რაიონი	82,9	46,9
ბათუმის	82,6	48,4
ქედის	82,0	56,5
სულ აჭარის ასსრ-ში	82,8	47,3
გალის რაიონი	93,2	52,3
ოჩამჩირის	85,2	41,2
სოხუმის	89,3	30,8
გუდაუთის	87,9	19,3
სულ აფხაზეთის ასსრ-ში	89,7	44,1
მახარაძის რაიონი	85,4	47,1
ჩოხატაურის	91,6	48,5
ლანჩხუთის	85,2	50,3
სამტრედიის	84,4	50,8
წულუკიძის	79,1	46,5
წყალტუბოს	98,2	61,9
ტყიბულის	114,0	73,1
ცხაკაიას	93,6	53,0
აბაშის	86,1	45,0
გეგეჭკორის	90,6	61,0
ზუგდიდის	88,2	54,9
ჩხოროწყუს	91,2	58,8
წალენჯიხის	95,0	66,3
ხობის	91,6	46,2
თერჯოლის	85,0	24,6
ზესტაფონის	100,0	—
ვანის	80,0	30,8
ქალ. ჭიათურა	154,8	56,3
ქალ. ფოთი	66,7	—
სულ საქ. სსრ-ში	88,0	50,5

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

აბრეშუმის ქსოვის ჯადოქრები ათობით არიან დღეს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ეს თავმდაბალი გამრჯე ქალიშვილიც, ამ სურათზე რომ უყურებთ, ერთი იმათთაგანია. ორი წელი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ხატიჯე რამიშვილი ამ ვეებერთელა ფაბრიკაში თითით საჩვენებელი ფეიქარი გამხდარიყო. ყოველდღიურად ათობით მეტრი აბრეშუმის ქსოვილი გეგმის გადამეტებით — ასეთია ახალგაზრდა მქსოველის ხატიჯე რამიშვილის შრომითი მაჩვენებელი.

სურათზე: ხატიჯე რამიშვილი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალი განძი

ერთ მთლიან ბაღს ჰგავს მუხრანის ზემოთ, ოდნავ შეფერდებაზე გაშლილი სოფელი ძალისი, ვენახებით, ხეხილით, ბოსტნები თ ა და მრავალფერ ა დ ი მინდვრებით მოხატული სოფელში თქვენს ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეთა ახალი კოპწია სახლები, ახალნაგებობანი, ყოველ უბანში აღმართული ხარაჩოები. გაგიხარდებათ, უმრავლესი სახლების თავზე რადიოსა და ტელევიზორის ანტენებს რომ დაინახავთ. მდინარე ნარეკვავიც არ უნდა დაგავიწყდეთ, რომელიც წვიმიან დღეებში ადიდებულა და ნაპირები გადმოულახავს. მდინარის გასწვრივ კოხტად დგანან წნორები. ასეთია ერთი შეხედვით დღევანდელი ძალისი, მაგრამ იგი ასეთი არ ყოფილა მანამდე, სანამ მას სათავეში არ ჩაუდგა საკოლმეურნეო ცხოვრების ნიჭიერი ორგანიზატორი გიორგი არჯევანიძე.

რა სწრაფად გარბის დრო. უკვე ოთხი წელიწადი გავიდა, მაგრამ გიორგის ჰგონია ეს ახლახან იყო, როცა მან პარტიის მოწოდების პასუხად თანხმობა განაცხადა წასულიყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. შემდეგ არჩევნ ებ ი, კოლმეურნეთა იქვიანი წამოძახილი:

— ოცდამეთექვსმეტე თავმჯდომ ა რ ე ც მალე იქ წაბრძანდება, სადაც მისი წინამორბედები...

— რომ ვარგოდეს, თბილისელ კაცს ძალისის თავმჯდ ო მ ა რად ვინ გაიმეტებდა...

— სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირია...

აი ასეთი შეხვედრა მრუწყეს ძალისელებმა ახალ თავმჯდომარეს. მაგრამ გიორგი არ დაბნეულა. ყოფილა დრო, როცა იგი უფრო რთული ამოცანის წინაშე მდგარა და ყველა სირთულე გადალახავს. მიუხედავად საშუალო ასაკისა, ახალგაზრდულად გაბედული, ენერგიული, პატიოსანი გიორგი მალე დარწმუნდა, რომ მის წინაშე ნამდვილი განძი იყო, რომელსაც მოპოვება სჭირდებოდა. განა ასე არ არის? შეხედავ ნაცარს, ცეცხლი არა ჩანს, მაგრამ საკმარისია ნაცარი და ფერფლი გვერდზე გასწიო, რომ ნაღვერდალი აღმოაჩინო, ერთი პატარა ნაკვერცხალიც ქმარა დიდი კოცონის გასაჩაღებლად, ოღონდ ეცადე მძლავრად შეუბერო...

გიორგიმაც „შეუბერა“.

ამისათვის მას არაფერი არ აკლდა. ღყო ბარაქიანი მიწა, იყო ცოცხალი განძი — შრომისმოყვარე კოლმეურნეები, რომლებსაც შეეძლოთ მთებიც კი დაეძრათ, თუ კი მათ სათანადოდ უხელმძღვანელებენ.

ჩვენ არ გადმოგცემთ გიორგის მიერ დაწერილებით მოყოლილ ამბავს. თუ მოკლე ხანში როგორ აღდგა არტელის დანგრეული მეურნეობა, კვლავ როგორ ჩაისახა ძალისელთა გულში საკოლმეურნეო ცხოვრების ინტერესი, როგორ დარწმუნდნენ იმაში, რომ მთავარია საზოგადოებრივი და არა პირადი მეურნეობა.

ახალი თავმჯდომარის მოსვლამდე კოლმეურნეობის წლიური ფულადი შემოსავალი მხოლოდ 460 ათას მანეთს შეადგენდა, ერთი წლის შემდეგ ეს თანხა 1 მილიონ 10 ათას მანეთამდე გაიზარდა. შარშან 1 მილიონ 527 ათას მანეთს მიაღწია. წელს კი ფულადი შემოსავალი 2 მილიონ 400 ათას მანეთამდე გაიზრდება.

ძალისელთა ძირითადი სიმდიდრე ვაზია. გიორგიმ სწორედ მეურნეობის ამ მთავარ რგოლს ჩაჰკიდა ხელი. ახლადგაშენებულ 20 ჰექტარ ვენახს მალე შეემატება 18 ჰექტარი, რომლის პლანტაჟი უკვე მზად აქვთ. ხუთწლედის ბოლოს ნაკლებად 50 ჰექტარისა ძალისელებს 144 ჰექტარი ვენახი ექნებათ.

— ყველაზე მთავარი, — გვიამბო გიორგიმ, — რაც პირველ რიგში უნდა მოგვარებულიყო, გახლდათ კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება. ამიტომ იყო, რომ ჩვენთან განსაკუთრებული მოწონება ჰპოვა შრომის დამატებითი ანაზღაურების პრინციპმა. გეგმის გადამეჩვენებით მიღებული პროდუქტების ნახევარი ეძლევა თვითონ კოლმეურნეს. გარდა ამისა, ჩვენ შემოვიღეთ ვენახებში ლობიოს თესვის პრაქტიკა, თესლს კოლმეურნე ჩვენგან იღებს, ლობიოს თოხნის სამჯერ (ე. ი. თოხნის კოლმეურნეობის ვენახს) მოსავლის ნახევარი მასვე ეძლევა. ამით ორ კურდღელს ვკლავთ, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ვუვლით ვაზს, მატერიალურად ვაინტერესებთ კოლმეურნეს და ვანაყოფიერებთ ნიადაგს.

შრომის დამატებითი ანაზღაურება ვრცელდება მეურნეობის ყველა დარგში — მეცხოველეობაში, მემინდვრეობაში, მებაღეობა-მებოსტნეობაში.

მწარე მოსაგონებელია ის მდგომარეობა, რაშიც მეცხოველეობა იყო ამ ოთხიოდე წლის წინათ. კოლმეურნეობაში გიორგის მოსვლის დროს ძროხის საშუალო წველადობა წელიწადში 311 ლიტრს შეადგენდა. ამის მთავარი მიზეზი იყო საკვების სიმცირე, პირუტყვის ცუდი მოვლა-პატრონობა.

აქაც შეიცვალა მდგომარეობა. შეიქმნა მტკიცე საკვები ბაზა, რაშიც მთავარ როლს „მინდვრის დედოფალი“ ასრულებს. უწინ

თუ 90 ჰექტარი სიმინდი ითესებოდა, ახლა მას ორჯერ მეტი ფართობი უჭირავს. ამასთან გაიზარდა მისი მოსავლიანობა. გაფართოვდა ჭარხლის ნათესები. აშენდა სასილოსე ტრანშეები და ორმოები. ყოველწლიურად 3 ათას ტონა სილოსს ამზადებენ. შედეგიც კარგია. შარშან საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე 1.600 ლიტრი რძე მიიღეს, წელს კი 1.800 ლიტრს მიიღებენ.

1955 წელს ძალისის კოლმეურნეობას მხოლოდ რამდენიმე ბატი ჰყავდა. ენამწარე ადამიანები ხუმრობდნენ. ბატებმა რომი გადაარჩინეს, ჩვენი ფერმა კი ვერაო, — სწორედ ეს ბატები შეადგენდა მეფრინველეობის „ფერმას“. აბა ახლა უნდა ნახოთ ძალისელთა ახალი ფერმა, სადაც ათასობით ქათამი და წიწილა ჰყავთ. გარდა ამისა, ძალისელები მცხეთის რაიონის სხვა ოთხ კოლმეურნეობასთან ერთად მეფრინველეობის ფაბრიკას აშენებენ.

გიორგი არჯევანიძის ხელმძღვანელობით ასე გაიმართა წელში ერთ დროს ჩამორჩენილი მეურნეობა. რა თქმა უნდა, ამით არავითარი სასწაული არ მომხდარა, რადგან თვითონ საკოლმეურნეო წყობილების ბუნებაშია განუსაზღვრელ წარმატებათა საფუძველი. მხოლოდ საჭიროა უნარიანად გამოიყენო ეს შესაძლებლობანი. გიყვარდეს საქმე, იპოვნო ადამიანებთან დამოკიდებულების სწორი გზა. დანარჩენი კი ადვილია.

რომელი კოლმეურნე არ გაჰკვირვებია გიორგის, რომელიც ოთხი წლის მანძილზე. უსაქმოდ არავის უნახავს, რომელიც სოფელში ყველაზე ადრე იღვიძებს და ყველაზე გვიან წვება.

თავმჯდომარეს მხარში უდგას მძლავრი პარტიული ორგანიზაცია. ორმოცდათხუთმეტი კომუნისტი განაწილებულია საარტელო მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე. თავიანთი უნარით დაწინაურდნენ საკოლმეურნეო წარმოების საშუალო მეთაურები ციალა გელაშვილი, გიორგი მახვილაძე, ილია სილაძე, არჩილ ვალიშვილი, ვარლამ ბერიანიძე, ლევან ხაბალაშვილი, ყენია ხაბალაშვილი...

ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ მთავარი მაინც უნდა აღინიშნოს. ოთხი წლის მანძილზე სოფელს შეემატა 7 ტრაქტორი, 3 კომბაინი, მისაბმელი იარაღები, აშენდა წისქვილი, დაიდგა ათტონიანი სასწორი, მოეწყო სახერხი, გაიხსნა აფთიაქი, შემნახველი სალარო, ფოსტა, საექიმო უბანი, ვეტპუნქტი, მდინარე ნარეკვავზე გაიდო ბონდის ხიდები, აშენდა საღორე, საწიწილე, სოფელი გაჩირაღდნდა ილიჩის ნათურებით.

ამჟამად კოლმეურნეობა აშენებს საშუალო სკოლის ახალ შენობას, რაც მილიონ მანეთზე მეტი დაჯდება, მიმდინარე შვიდწლედში აშენდება აბანო, კლუბი, სამკითხველო, წყალსადენის ქსელი, კოლმეურნეთა ათობით სახლი.

ასე ვაყაკაცდება და არწივის ფრთებს ისხამს სოფელ ძალისის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, ასე იბადება ყველა განძთა შორის უძვირფასესი განძი — შვიდწლედის მშენებელი გმირები.

ა. თოდაძე,
ვ. თორდუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

* * *

სურათზე: გ. არჯევანიძე.

რეპორტაჟი ცის ლაჟვარდში

ომის დროს, როცა მილიონ ტონობით გავარვარებულ ლითონს ტანკების, ზარბაზნების, ავტომატების, კატიუშების, თვითმფრინავების საშუალებით სიკვდილი და დაბნეულობა შეეჭონდა გადამთიელთა სანგრებში, თბილისში ერთ ერთ ქუჩაზე ყოველდღიურად მოდიოდა ასობით სამკუთხა ბარათები. ეს სამკუთხა ფრონტული ბარათები — მომავლის მშვიდობის მტრედები — მებრძოლთა ხელით იყო დაწერილი.

მართალია, ასეთ ბარათებს თითქმის ყველა ოჯახი იღებდა, მაგრამ იმდენს არც ერთ ოჯახში, არც ერთ სახლში, არც ერთ უბანში და არც ერთ სოფელში არ იღებდნენ, რამდენსაც თბილისის საავიაციო სპორტულ კლუბში.

ვინ იყვნენ ამ წერილების ავტორები?

ამ სპორტულ კლუბში აღზრდილი ახალგაზრდები, რომლებმაც მეორე ოჯახივით შეიყვარეს ეს სახლი. ისინი იყვნენ ჩვენი მამაცი შავარდნები, რომლებიც სამშობლოს ლაჟვარდოვან ცაზე ცეცხლს უკიდებდნენ „მესერშმიტებს“, მიწაში მარხავდნენ „ვეფხვებს“ და ნაცარტუტად აქცევდნენ მტრის აღლუებს.

ვის არ გაუგონია გმირთა სახელები — ოთარ ჩიჩილაშვილი და დავით ჯაბიძე, მართა სიტლანოვა და გიორგი თვაური. ისინი ერთი წერილით მშობლებს რომ შეატყობინებდნენ, ცოცხალი ვარ, კარგად ვარო, მეორე წერილს აუცილებლად შავარდენთა ბუდეში გზავნიდნენ. ვერც შორეულმა სივრცემ, ვერც ომის ჭექა-ქუხილმა წაშალა მათი სიყვარული მშობლიური კლუბისადმი.

დედაენასთან ერთად ტიკტიკებდა პატარა ეთერი მამაცი საბჭოთა შავარდნებისადმი მიძღვნილ ლექსებს. იგი მშობლებს მოსვენებას არ აძლევდა კითხვებით, ვინ იყვნენ ჩიჩილაშვილი, ჯასტელო, პოკრიშკინი და კოტელდუბი. მშობლებიც უკითხავდნენ და უამბობდნენ მათს საგმირო საქმეებზე, თუ როგორ გააკეთა ქართველმა გმირმა საჰაერო ტარანი, რომელიც სამამულო ომის ისტორიაში მხოლოდ ხუთჯერ შესრულდა, როგორ წაუკიდეს თავიანთი თვითმფრინავებით ცეცხლი მტრის ცისტერნებს გმირმა გასტელომ ან წურწუმიამ. გოგონას ზღაპარივით ჩაესმოდა ყურში მშობლების ნაამბობი, უღვიძებდა სიყვარულს საჰაერო სპორტისადმი.

ეთერ ვარდიძემ წარჩინებით დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. იგი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია. ლექციების შემდეგ მას ხშირად ნახავთ რესპუბლიკური საავიაციო კლუბში, სადაც ინსტრუქტორები საპარაშუტო საქმის თეორიას ასწავლიან. მან ჩინებულად შეითვისა თეორია და შეძენილ ცოდნას პრაქტიკულად ამორციელებს. ახლა მისთვის სულ ერთია, თვითმფრინავიდან პარაშუტით მიწაზე ჩამოვიშვება თუ წყალზე. მან შესანიშნავად ჩაამბარა გახსულ პარასკევს გამოცდა, როდესაც პარაშუტით თბილისის ზღვის ტალღებზე დაეშვა.

ეთერი მარტო როდია. მას საჰაერო სპორტის მრავალი მეგობარი ჰყავს. აი თუნდაც სვეტლანა ბობროვა. იგი დიდუბეში მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში მუშაობს მქსოველად. ყოველდღიურ გეგმას 120-130 პროცენტით ასრულებს. მუშაობის დამთავრებისთანავე, სახლში გაიკლის და სპორტული ჩემოდნით აეროკლუბს მიაშურებს მორიგი ფრენისათვის, გადმოტტომისათვის. თავის ამბავნაგებთან შედარებით იგი ახალბედაა. მალე შეისწავლა საპარაშუტო ხელოვნება და ახლა პლანერსაც მართავს.

გივი ჯიღაურს ბავშვობაში ბევრი ღამე გაუტეხია იმაზე ოცნებით, რომ თვითმფრინავის მართვა და პაერიდან გადმოხტომა შეესწავლა. კახელ ვაჟკაცს, ალაზანივით დინჯ და მშვიდ გივის უკვე 26 გადმოხტომა აქვს.

რომ ჩამოთვლა საჰაერო სპორტის მოყვარულებს, ვინ არის ყველაზე უშიშარი და ამ საქმის კარგი სპეციალისტიო, აუცილებლად სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატზე არკადი გამრეკელაშვილზე მიგითითებენ.

ისინი მართალი არიან. ა. გამრეკელაშვილს ცხოვრების მეტად რთული გზა აქვს გავლილი. დღეისათვის მას უკვე 1.985 გადმოხტომა აქვს. მაგრამ ყველა გადმოხტომა მშვიდობიან დროს არ ეკუთვნის. არკადის მეერდს მთავრობის მრავალი ორდენი და მედალი ამშვენებს. იგი ფრონტზე სადესანტო ნაწილს ხელმძღვანელობდა. მეომრებთან ერთად მრავალჯერ ' ყოფილა მტრის ღრმა ზურგში და მოუსპია დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები. ახლა არკადი თავის ცოდნასა და გამოცდილებას მომავალ შავარდნებს უზიარებს.

იმრავლოს მამაცთა სპორტის მოყვარულთა რიგებმა, რომლებსაც ცა ჭუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად...

გ. გახტურიძე.



თბილისის ზღვაზე. ფოტოეტიუდი ვლ. გინზბურგისა.

გაზი—თბილისისაკენ

უკვე კარგა ხანია თბილისის ქუჩებში ბევრ ადგილას მუშები თხრიან არხებს, ორმოებს, აწყობენ მოზრდილ მილებს, უფრო წვრილი მილები შეჰყავთ ბინებში. ესენი არიან ტრესტ „თბილგაზმშენის“ მუშაკები, რომლებიც ეშურებიან, რომ წლის ბოლოსათვის ქალაქში ბევრმა ოჯახმა, ფაბრიკა-ქარხანამ მიიღოს შესანიშნავი სათბობი—ყარადაღის ბუნებრივი გაზი. მშენებლებმა მაგისტრალის ქუჩებში 70 კილომეტრის, ხოლო საცხოვრებელ სახლებსა და საწარმოებში 50 კილომეტრი სიგრძის მილები უნდა ჩაიწყოს.

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე ყარადაღ-თბილისს ხუთასკილომეტრიან ტრასაზე. აქ მშენებლობას გაზის საკავშირო ორგანიზაცია „გლავგაზი“ ახორციელებს. მან ბუნებრივი გაზი თბილისამდე უნდა მოიყვანოს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში. ტრასის მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ ვადამდე — 7 ნოემბრისათვის შეასრულონ ეს სამუშაო. ამიტომ ქალაქში მილების გამყვანებიც ჩქარობენ, რაითა მზად შეხვდნენ მოსულ გაზს, გაყვანილობა მოაწყონ ცხრა ათას ოჯახში, ხოლო დარჩენილ დროში კიდევ შეასრულონ მაგისტრალური ხაზიდან ახლომახლო ქალაქების გაზიფიცირება.

ტრესტის მეოთხე სამმართველოს, რომელიც ქალაქში ბინების გაზიფიკაციის სამუშაოს ასრულებს, დღემდე სამი ათას ოჯახში უკვე მოწყობილი აქვს გაზის გაყვანილობა, ძირითადად 26 კომისრის რაიონის მუშათა დასახლებაში, ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის რაიონებში. მომდინარეობს აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნების გაზიფიკაციის სამუშაოები. წელს პირველ რიგში გაზს მიიღებენ მაუდ-კამვოლისა და შამპანერის კომბინატები, კირვის სახელობის ჩარხსამშენებლო, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, კონიაკის ქარხნები და სხვა საწარმო-დაწესებულებები.

ქალაქში სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობს აგრეთვე 20 განმანაწილებელი სადგურის მშენებლობა. მათ შორის ნავთლუღში აიგება გაზის ერთი მთავარი მიმღებ-განმანაწილებელი სადგური. ეს სადგურები წლის ბოლოსათვის მზად იქნება.

წინასწარი გაანგარიშებით წელიწადში თბილისში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის შედეგად დაიზოგება დაახლოებით მილიონი ტონა ქვანახშირი, 180.000 ტონა მაზუთი, 170.000 ტონა ნავთი, 400.000 კუბური მეტრი შეშა. ამ სათბობით საჭმლის დამზადება 10-15 ჯერ იაფი დაჯდება, ვიდრე შეშით, 5-6-ჯერ იაფი, ვიდრე ნავთქურით.

ამგვანი საგარაკონი...

რედაქციაში წერილი მივიღეთ:

„გადაწყვეტილ წელს, სურამში გამეტარებინა ზაფხულის დღეები, — იწერებოდა ერთ-ერთი დასვენებელი, — მივწერე სურამელ ნაცნობს და ვთხოვე ეშოვნა ჩემთვის ბინა. ამასთანავე ვთხოვდი ეცნობებინა, იქნებოდა თუ არა ოთახში საწოლები. დეპეშაც მივიღე: „საცოლეები არა ჩამობრძანდითო“...

ამ დეპეშამ გაგვაოცა. საცოლე და მით უმეტეს „საცოლეები“ მე არავისთვის მითბოვნია, რაც შეეხება ჩემს ბიჭუნას, ის ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი წლისაა...

მაშ რას ნიშნავს „საცოლეები არა?“

შეეუდექით დეპეშის გაშიფრვას. იმ დასკვნამდე მივედი, რომ „საცოლეებს“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო „საწოლები“, ხოლო „არა“-ს ნაცვლად „არის“.

— კი რა არის, — გამომეხმაურა ჟარის მეზობელი გალაქტიონ ჭაბუკიანი. საგაზეთო საქმე კავშირგაბმულობამ სწორედ მე მიქნია, — თქვა და დეპეშის ორი ბლანკი მაგიდაზე დაატინა.

წავიკითხეთ: გალაქტიონი დისშვილს დეპეშით ცაგერში ატყობინებდა: „ანზორი მომზადებული ჩამოვიდესო **ოცში**“. ცაგერში კი ასეთი ტექსტი მიეღიათ: „ანზორი მომზადებული ჩამოვიდესო **ფოთში**“.

მართლაც ანზორი მომზადებული ჩავიდა ფოთში. ხოლო გალაქტიონი ოცში, ოცდაერთსა და ოცდაორში უცდიდა თავის დისწულს თბილისში.

ამ ამბით შეშინებულმა სურამში დეპეშის ხელახლა გაგზავნაზე უარი ეთქვი, ავიღე ტელეფონის მილი, დავურეკე თბილისის ტაქსების გარაჟს და ვთხოვე გამოეგზავნათ მანქანა.

— საიდან რეკავთ? — მოისმა ქალის ხმა.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, მიიღეთ შეკვეთა.

— ბინაზე ტელეფონი გაქვთ?

— არა.

— ჰოდა, ვისაც ბინაზე ტელეფონი არა აქვს, მისგან შეკვეთას არ ვიღებთ.

ეს რა „ჭკვიანური“ მოსაზრებაა, — კავიფიქრე... მათი გამოცდილება რომ გაეზიარებინა, მაგალითად, სახანძრო რაზმს, უთუოდ ასეთი საუბრის მოწმენი გავხდებოდით:

— ალო! სახანძრო რაზმია? ამა და ამ ქუჩაზე სახლი იწვის.

— ტელეფონი ბინაში გაქვთ?

— არა.

— აბა საიდან რეკავთ?

— ავტომატური ტელეფონის ფარდულიდან,

— ვერ მოგეშველებით, ვისაც ბინაში ტელეფონი არა აქვს, მის ხანძარს არ ვაქრობთ.

... ასე თუ ისე, გავემგზავრე სურამში. მაგრამ იქედან აქაც არ გამიმართლდა. იქნებ ნახოთ, რა დღეში ვართ დამსვენებლები?

დამსვენებლის ამ წერილმა დაგვაინტერესა და ავგისტოს ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრეთ კურორტ სურამს.

იქ პირველად ჩვენი ყურადღება მშვენიერმა „რკინის წყალმა“ მიიქცია. რომელიც ლენინის ქუჩაზე ლამაზ პავილიონში რამდენიმე მილიდან გადმოჩუხჩუხებს. შეხედავ წყალს და იტყვი: — დაილოცოს სურამის „ბუნება“, მაგრამ ბევრიც რომ აწვალო ახლოს ვერ მიეკარები. შადრევანი და მილები ისეა დამონტაჟებული, რომ წყალი რომ დალიო, ფალეტონი

საჭიროა კიბე ან უზარმაზარი ლოდი, ისინიც რომ იშოვნო, წყალს რით დალევ — პავილიონში არც ჭიქაა, არც სხვა რამ ჭურჭელი.

შარშან მეტად საჭირო საქმე დაუწყიათ — სურამის სანატორიუმის შენობის რეკონსტრუქცია, მისი გაფართოება და საერთოდ უკეთესად მოწყობა. ეს სამუშაო წელს პირველი მაისისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უკვე აგვისტო იწურება, და შენობა მზად არ არის. საქმე ის არის, რომ სანატორიუმის შენობას კიდევ ერთი სართული დაუშენეს, სწორედ ამ დაშენებული სართულის კედელი ამას წინათ გრიალით ჩამოინგრა და ლაფში ამოსვარა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეცხრე სამშენებლო ტრესტის ავტორიტეტი.

ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სურამში. სურამელებს კარგად „ახსოვთ“ სურამის ციხის აგების ისტორია. როგორც ცნობილია, ეს ციხე არ აშენდა, სანამ კედელში მკითხავ ვარდუას რჩევით დურმიშხანის ერთადერთი ვაჟი ზურაბი არ ჩაატანეს. ამ მწარე გამოცდილების მიხედვით ვიღაცამ აზრი გამოთქვა, რომ სურამის სანატორიუმის შენობა მანამდე არ აშენდება, სანამ მის კედელში ინჟინერს არ ჩავატანთო. სწორედ ამ დროს გაჩნდა სხვა ვარდუა, რომელმაც სრულიად მოულოდნელად სულ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა.

„მე მკითხავი ვარდუა არ გეგონოთ.— თქვა მან, ერთ დროს სანატორიუმში — ავტომატური ტელეფონის ფარდულიდან,

— ვერ მოგეშველებით, ვისაც ბინაში ტელეფონი არა აქვს, მის ხანძარს არ ვაქრობთ.

... ასე თუ ისე, გავემგზავრე სურამში. მაგრამ იქედან აქაც არ გამიმართლდა. იქნებ ნახოთ, რა დღეში ვართ დამსვენებლები?“

დამსვენებლის ამ წერილმა დაგვაინტერესა და ავგისტოს ერთ მშვენიერ დღეს ვესტუმრეთ კურორტ სურამს.

იქ პირველად ჩვენი ყურადღება მშვენიერმა „რკინის წყალმა“ მიიქცია. რომელიც ლენინის ქუჩაზე ლამაზ პავილიონში რამდენიმე მილიდან გადმოჩუხჩუხებს. შეხედავ წყალს და იტყვი: — დაილოცოს სურამის „ბუნება“, მაგრამ ბევრიც რომ აწვალო ახლოს ვერ მიეკარები. შადრევანი და მილები ისეა დამონტაჟებული, რომ წყალი რომ დალიო, საჭიროა კიბე ან უზარმაზარი ლოდი, ისინიც რომ იშოვნო, წყალს რით დალევ — პავილიონში არც ჭიქაა, არც სხვა რამ ჭურჭელი.

შარშან მეტად საჭირო საქმე დაუწყიათ — სურამის სანატორიუმის შენობის რეკონსტრუქცია, მისი გაფართოება და საერთოდ უკეთესად მოწყობა. ეს სამუშაო წელს პირველი მაისისათვის უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უკვე აგვისტო იწურება, და შენობა მზად არ არის. საქმე ის არის, რომ სანატორიუმის შენობას კიდევ ერთი სართული დაუშენეს, სწორედ ამ დაშენებული სართულის კედელი ამას წინათ გრიალით ჩამოინგრა და ლაფში ამოსვარა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეცხრე სამშენებლო ტრესტის ავტორიტეტი.

ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სურამში. სურამელებს კარგად „ახსოვთ“ სურამის ციხის აგების ისტორია. როგორც ცნობილია, ეს ციხე არ აშენდა, სანამ კედელში მკითხავ ვარდუას რჩევით დურმიშხანის ერთადერთი ვაჟი ზურაბი არ ჩაატანეს. ამ მწარე გამოცდილების მიხედვით ვიღაცამ აზრი გამოთქვა, რომ სურამის სანატორიუმის შენობა მანამდე არ აშენდება, სანამ მის კედელში ინჟინერს არ ჩავატანთო. სწორედ ამ დროს გაჩნდა სხვა ვარდუა, რომელმაც სრულიად მოულოდნელად სულ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა.

„მე მკითხავი ვარდუა არ გეგონოთ.— თქვა მან, ერთ დროს სანატორიუმში მუშაობდი დამლაგებლად, კედლებში ნეგრავის ნუ ჩაატანთ. საჭიროა მხოლოდ ძველი შენობის საძირკვლის კარგად გაგრება. კედლების რკინაბეტონით მაგდრად შეკვრა, კედლებში რკინაბეტონის სვეტების ჩადგმა, რომლებიც უნდა ეყრდნობოდეს რკინაბეტონითვე გამაგრებულ საძირკველს. ყველა ამის შემდეგ ააშენეთ კედლები და თუ ისევ ჩამოინგრეს, მე დედაკაცი აღარ ვიქნები“...

ამბობენ, ინჟინერებმა ვარდუა ტამლაგებელს დაუჯერეს და საქმეც კარგად მიდისო, ამრიგად მართალია, სანატორიუმის შენობის რეკონსტრუქციამ თითქმის ერთი წლით დაიგვიანა, მაგრამ სამაგიეროდ კედლები ცოცხლად ჩატანებას გადაურჩა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მეცხრე სამშენებლო ტრესტის უფროსი ამბობს. შთა ლომიძე.

... სურამში სრულიად მოულოდნელად შეეხვედით ერთ ძველ მეგობარს. სანინლად გამხდარიყო, გაგვიკვირდა. ერთი თვის წინათ თბილისში ვნახეთ, ეეფხვავით იყო.

— რა მოგვიდა? —შევეკითხეთ.

— არაფერი... კეჩხობის დასასვენებელი სახლიდან მოვდიეარ... თქვა ლელ ლელიდი და ჩაიცეა. უზარმაზარ ალის ხესთან, რომელზეც დიდი ლურსმნებით სურამელ „ტყის მეგობრებს“ საფოტო ყუთი მიეჯაჭვიათ.

— პო, იმას ვამბობდი — განაგრძო მან, — კეჩხობის დასასვენებელ სახლში ვისვენებდი... მოგეხსენებათ იქ სულ 450 ადგილია. წელს კი დასასვენებლად ერთდროულად 570 კაცი გამოგზავნეს ესე იგი 120 ადამიანით მეტი. სულს ვეღარ ვითქვამდით. ბეედინა დერეფნებში, აივანზე, მინდორში, ხის წვერზე რობინზონ კრუზოსავით... ესადილობდით ფეხზე მდგარნი, რიგში დგომამ გამამაკაცი. აბა იფიქრე დღეში ოთხჯერ სასადილოში რიგში დგომა! ვეღარ გავუძელი, ჩამოვხმი, ნერვები ამეშალა...

დაამთავრა საუბარი და ღონემიხდილმა ხელით გვანიშნა მეტს ნურაფერს ნუ მკითხავთო.

ჩვენც ამით ვამთავრებთ ამ ფელეტონს. ცხადია, იგი პატარა შაკი ლაკა იმ დიდი, გეგმაშეწონილი მუშაობის ფონზე, რომლის შედეგადაც ასე ფართოდ ლამაზდება, კეთილმოწყობილი ხდება ჩვენი თვალწარმტაცი კურორტები.

სურამშიც და კეჩხობშიც ბევრი რამ ახალი, კარგი გაკეთდა და კეთდება. ჩვენ გვინდა ეს ცნობილი საბავშვო კურორტ სურამი უფრო სუფთად და ლამაზად გამოიყურებოდეს, რათა დასასვენებლად ჩამოსული ჩვენი ბავშვები უმადლოდნენ არა მარტო საქართველოს მადლიან ბუნებას, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც მინდობილი აქვთ ამ კურორტის კეთილმოწყობა. და, ბოლოს, კარგი იქნება თუ იმ ბიუროკრატებს, რომლებიც დასასვენებელ სახლებში გეგმის შესრულებას საბაბით ასობით ზედმეტ დამსვენებელს გზავნიან, ვაიძულებთ ოთხას ადგილიან დასასვენებელ სახლში ხუთასსამოცდაათე სავზურით თვითონ „დაისვენონ“.

ვფიქრობთ სასჯელად ეყოფათ.

გ. ეკალაძე,
გ. ლიაძე.

„ახალ ითხვისში“ ბევრია წარმოების ნოვატორი და მოწინავე მუშა. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ელმავლის მემანქანეს ალექსანდრე სამხარაძეს. იგი მუდამ გადამეტებით ასრულებს გეგმას. მართალია, მოცილეც ბევრი ჰყავს, მაგრამ ჯერჯერობით არავის არ უთმობს პირველობას ეს შავტუხა ბრგე ვაჟაცი. ერთ წამსაც არ აცდენს უქმად. მუდამ მოძრაობაშია სამხარაძის ელმავალი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

პაპარა ოქროს ხელებით

ძველაძის ქუჩის ერთ-ერთ კუთხეში გამვლელის თვალს აუცილებლად მოხვდება დიდი სამსართულიანი ავარის შენობა კეთილმოწყობილი ეზოთი, მის შესასვლელ კარზე გაკრული აბრა გაცნობთ, რომ ეს თბილისის 41-ე რუსული საშუალო სკოლის შენობაა.

სკოლის ეზოში შესვლისთანავე თვალში გეცემათ სისუფთავე და წესრიგი.

კლასების ფანჯრებზე გაკეთებული ფარდები დაკიდებული, ჩაჰწკრივებულა ახლად შეღებული მერხები, გაპრიალებულია დაფა, მასწავლებლის მაგიდა, კარადა.

განსაკუთრებული სისუფთავეა 41-ე საშუალო სკოლის ყველა საკლასო ოთახში.

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა ჩვენ, მისმა აღსაზრდელებმა, მრვამზადეთ, — ამბობს VI კლასის მოსწავლე ლიუდმილა რიფინაშვილი. თვითონ შევაკეთეთ სასკოლო ინვენტარი, სასპორტო მოედანი, შევღებეთ სკოლის ავეჯი, გავათეთრეთ საკლასო ოთახების კედლები. ყვავილების დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა კლასმა შეიძინა ოთახის ყვავილები. ავაშენეთ ახალი სამკრეფელები.

თვითმოსაპუ რ ებ ი თ სკოლამ სახელმწიფოს რამდენიმე ათასი მანეთი ეკონომია მისცა. გადაწყვეტილია ახალი სასწავლო წლისათვის სკოლაში შემცირდეს დამლაგებელთა რიცხვი, დარჩება მხოლოდ ორი-სამი, რომლებიც შეასრულებენ შედარებით რთულ სამუშაოს.

სკოლას გარდამავალი დროშა აქვს. ჯერჯერობით მისი მფლობელნი არიან VII კლასის მოსწავლეები.

ლ. რევია.



წერილების კვალდაკვალ

დაბა ვალეში უკანასკნელ წლებში მრავალი ახალი კეთილმოწყობილი სახლი აშენდა მაგრამ დაბის ტერიტორიის დასუფთავებას, მშენებლობის ნარჩენებისა და ნაგვის გატანას ყურადღება არ ექცევა, — გვწერდა მკითხველი ხ. გოგოლაური.

ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომიდან, სადაც წერილი ზომების მისაღებად გიგზავნა, გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. მიღებულია ზომები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. მიმდინარეობს დაბის ტერიტორიის დასუფთავება. ზოგიერთი საცხოვრებელი სახლის სარდაფებს უკეთდება ჰიდროიზოლაცია ნესტიანობის აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქა

გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობა «მაია», რომლის ნაწყვეტს ქვემოთ ვაქვეყნებთ, დაიწერა 1953 წელს. მოთხრობის წინა ნაწილში რაიკომის მდივანი მეჩაიე სახელგანთქმულ ბრიგადირს მარიამ თვალთვაძეს ურჩევს მეზობელ რაიონში წავიდეს და მაია ქოჩაკიძის მუშაობას გაეცნოს. მდივანმა არ იცის, რომ მაია მარიამის ნამოწაფარია. მარიამი ნაწყენია, მაგრამ მაინც მიდის მაიასთან ჩაის ფოთლის მწონავ პლატონ ჭილაძესთან ერთად.

1.

იასონს უნდოდა სტუმრები კანტორაში მიეყვანა, მაგრამ გზის პირას პლატონმა ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტს მოკარა თვალი. როგორც კი გაიგო, რომ ეს მაიას ბრიგადის პუნქტი იყო, იასონს სთხოვა მანქანა შეეჩერებინა. გადმოვიდნენ და ფარდულისაკენ გასწიეს.

ფარდულთან ჩაის ფოთლით სავსე მანქანები იდგნენ. ფოთოლი მოქონდათ ურმებით, ორთვალებით, გოდრებით, მაგრამ ახლა ყველა და ყველაფერი გაჩერებული იყო და სიწყნარეში მხოლოდ მამაკაცის ბობი და მაღალი ხმა ისმოდა.

— ნესტორი თათხავს — ვიღაცას, — ჩაილაპარაკა იასონმა, — მიმღები პუნქტის მწონავია, — უთხრა მარიამს და პლატონს.

მაღალი ტანის სამოცი წლის მამაკაცი მარცხენა ხელით სასწორს დაყრდნობოდა, მარჯვენაში დუყი ეჭირა და აუჩქარებლად და დინჯად ელაპარაკებოდა მის წინ მდგარ კალთაკაეცილ ქალიშვილს. მათ გარშემო მდგარი ოცამდე ქალი და კაცი, შოფრები და მეჩაიეები ამ მამაკაცს შეჰყურებდნენ და მოუთმენლად ელოდნენ როდის დაამთავრებდა ლაპარაკს.

— უკანასკნელად გაფრთხილებ, ბაბუ, არ მივიღებ შენგან ასეთ ფოთოლს პირველ ხარისხად, სხვებისაგან იქნება მივიღო. მაგრამ შენგან არ მიეიღება. დიახ, შენგან არა, ნუ დაგასხა წარმატებამ თავზე! ჰო, ვიცით, კარგად მუშაობ, მაგრამ ეს არ კმარა. ვერა გრძნობ, რომ უკეთ უნდა იმუშაო, რომ დღევანდელი მოკრეფილი გუშინდელს უნდა სჯობდეს?

არავის დაუნახავს იასონის მანქანა, არ შეუნიშნავთ, როგორ გადმოვიდნენ იქიდან მარიამი და პლატონი. არ დაუნახავთ როგორ შეუერთდნენ ისინი მათ.

პლატონი უსმენდა ნესტორს და ყურს არ უკრეფდა. აქედან შებიდა, იქიდან შემოხედა. „ნუთუ ის ლაპარაკობს ამ სიტყვებს, ჩემს სიტყვებს. მე დამინახა, ალბათ, მასხარად მიგდებს, — გული მოუვიდა, მაგრამ უმალვე უკუაგდო ეგ ფიქრი. — კი მაგრამ, საიდან უნდა იცოდეს ჩემი სიტყვები, ან საიდან დამინახა, როცა ჩემკენ არც კი მობრუნებულა?“

— უნდა დავიჯეროთ, რომ არსებობს მეორე ხარისხის ფოთოლი — განაგრძობდა ნესტორი. ხედავდა, რომ მოთმინება ეკარგებოდა ყველას, მაგრამ არ აუჩუბებდა ეს. იცოდა, რომ მის იქით გზა არა ჰქონდათ. მისთვის უნდა ჩაებარებინათ ფოთოლი. ხოლო იმაში, რასაც იგი მოითხოვდა, ვერავინ შეედავებოდა. სიტყვას ვინ მოუგებდა. სოფელში ყველამ იცოდა ამ ენადაქეული კაცის ამბავი და ვინ შებედავდა შეკამათებას. — ახლა არავის უნდა, ბაბუ, მეორე ხარისხი, — ნესტორი უმცროს თუ უფროსს ყველას „ბაბუს“ ეძახდა. — გიზარდა ჩვენი მადა, შეიცვალა ჩვენი გემო. ყველას გვინდა უკეთ ჩავიცვათ, უკეთ დავიხუროთ, უკეთ ვჭამოთ და ვსვათ. ცხონებულ ბაბაშენს, ბაბუ, მოეწ თავის სიცოცხლეში ღორის ტყავის ქალამნების გარდა სხვა არაფერი სცმია. შენ, ბაბუ, ლაკის ფუფლებსაც არ სჯერდები. აბრეშუმის ნინდები არ მინდაო. შუშის ნინდებს დაეძებ, მალე ამასაც დაიწუნებ და ბროლისას მოიხურავ. მაშ, რა უფლება გაქვს მეორე ხარისხი მოკრიფო? არ უნდა ხალხს მეორე ხარისხის ჩაი დალიოს.

— ჰო, მაგრამ, ბიძია ნესტორ, ვინ იტყვის ამ ფოთოლს მეორე ხარისხაო? — ვერ მოითმინა ქალიშვილმა და შეუწყარა ნესტორს.

— არავინ, ბაბუ, — დინჯად მიუგო ნესტორმა, — ჩემს მეტი არავინ და მე მაქვს უფლება, ასე ვთქვა. დაადეთ თუ არა ჩვენ პირობა, ვკრიფოთ ისე, როგორც ნაფიქვნარში, მარიამ თვალთვაძის ბრიგადაში კრეფენ? დაადეთ.

პლატონმა მარიამს დაადახედა: იგი იდგა მშვიდი და დაფიქრებული. ღიმილი ფრენა სახეზე. რაიკომის მდივანთან საუბრის შემდეგ მან პირველად ახლა დაინახა ბრიგადირის სახეზე ის ღიმილი, რომელიც არ ჰგავდა არც ერთი სხვა ქალის ღიმილს, ეს ღიმილი საოცრად მომხიბლავს ხდიდა და ქალიშვილის გამბედაობას ეძლევდა მარიამის სახეს.

— ამ პირობას მეც მოვაწერე ხელი თუ არა? მოვაწერე. მოდი, არავის მივცემ ნესტორ ფარცვანიას შერცხვენის უფლებას. არ გავხდი ჩემს სახელს ბინძეულ მოსაცინად.

პლატონმა გოდორს დახედა და თვალი ვერ მოაშორა ფოთოლს. „არა, ეს ფოთოლსეა. ამ ფოთოლს ენს ვერ ფასდებ კაცი. პირველი ხარისხისა კი არა, „თაიგულის“ მსასლაა. — არ ახლოს პლატონს როგორ მოწყდა ადგილს გოდორთან როგორ მიიკრა. ამოავლო ხელი ერთხელ, მეორეჯერ, მაგრამ ვერ ნახა თუნდაც ერთი ისეთი გაუხეშებელი დუყიც, როგორსაც თავისი ბრიგადის ყველაზე კარგ მეჩაიეს გოდორიც კი პოულობდა, და სწრაფად მოერეოდა ნესტორისაკენ.

ისინი იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ერთი კაფანდარა და ჩახმახივით შემარული, მეორე ზორზობა, აუჩქარებელი და გაოცების დროსაც კი დინჯი. არაფერ არ ჰგავდნენ ერთმანეთს, არც სახით, არც ტანით. მაგრამ მაინც რაღაც ბეგავსება იყო მათ შორის.

ნესტორმა გუშანით იგრძნო რაღაც, ითქოს ეცნაურა ეს კაცი; აი, ახლა ეგი ყველას თვალწინ ამხელს მას. ქვეანას დაანახებს, რომ ამ ფოთოლზე ეკეთესს ვერ ინატრებს კაცი. მერე რა ვქნა ექნება ნესტორის სიტყვას თავისი ბრიგადის წევრებისათვის, ვის გაუბედავს რაიმეს თქმას, ვინ დაუჭერებს!

ეს მთასავით მამაკაცი ისე წახდა და ბერ მოუშვა უცებ, რომ პლატონს ეგონა, ... ახლა წამომქცევაო თავზე. პლატონ... უბერსულ მდგომარეობაში ჩავარდა, ... არ იცოდა რა ექნა.

ყველა პლატონსა და ნესტორს შეჰყურებდა. არავინ იცოდა ვინ იყო ეს ჩახმახელაში გამოწკეპილი კაცი, როგორსაც ... ასე მოულოდნელად აქ და რა ... ნესტორისაგან.

... დაინახა პლატონმა მისკენ გაოცებით ... ოპყრობილი თვალები, ემხილებინა ნესტორი, ეჩვენებინა დამსწრეთათვის, რომ ... დუყიც კი, რომელიც ხელში ეჭირა, ... ეფდებელი იყო? უცებ თავისი თავი ... წარმოიდგინა ნესტორის მდგომარეობაში: „ეს რა ვიფიქრე, რას ვეცი ამ ... კაცს გადარეულივით? ის ხომ იმასვე ... ეკეთებს, რასაც მე ჩემს ბრიგადაში“.

— უკაცრავად, სიტყვა მაქვს თქვენთან. თუ შეიძლება განზე გავდგეთ, — შეეხმა პლატონს ნესტორის ჩურჩული.

ორივე სწრაფად გავიდა წრიდან და ხალხმა ახლაღა შენიშნა მარიამი და იასონი. ყველა მიხვდა, რომ ჩოხაში გამოწყობილი უცნობი და იასონის გვერდით მდგარი ქალი ის სტუმრები იყვნენ, რომლებსაც ნაფიქვნარიდან ელოდნენ.

— მარიამ თვალთვაძე გახლავთ, ამხანაგებო, — მიმართა იასონმა თავისიანებს.

ყველა მარიამს შემოეხვია, სათითაოდ ართმევდნენ ხელს. ყველა სიხარულმა მოიცვა. ისე შეხვდნენ, ისე გაუცინეს და გამოელაპარაკნენ, როგორც ახლობელს, დიდი ხნის ნაცნობს, ერთი წუთით ყველას დავიწყდა ნესტორი და პლატონი.

ისინი კი ამ დროს ხალხისაგან მოშორებით კვლავ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

— შესაძლოა მთლად კარგად ვერ ვიქცევი, — ეუბნებოდა ნესტორი პლატონს, — მაგრამ ამას ჩემი პირადი ინტერესებისათვის ხომ არ ვაკეთებ! ამ წელიწადნახევრის წინათ ჩვენთან ხან პირველ ხარისხს კრეფდნენ, ხან მეორეს. კრეფდა ქალი პირველ ხარისხს ერთ კვირას, მეორე კვირას და შემდეგ გაიხედავდი და მეორე ხარისხს დაგიდგამდა სასწორზე. ახლა, რაც მაია ჩვენთანაა, თვალით არ მინახავს მეორე ხარისხი. მაგრამ მაინც ხანდახან თუ არ შეუფუცხენენ ადამიანს, შეჩერდება მიღწეულზე და შემოგვაპარებს მეორე ხარისხის ფოთოლს, — ლაპარაკობდა ნესტორი, შეჰყურებდა პლატონს და ხედავდა, როგორ ინადირებდა მის გულს. გათამამდა, მისმა ხმამ ქუთის დამრიგებლური კილო მიიღო. სახეზე სიფიცრემ გადაუარა. — ჩვენ ყველა ისე უნდა ვმუშაობდეთ, რომ დღეს მეტი და უკეთესი გავაკეთოთ, ვინმეგ გუშინ, ხვალ კიდევ უფრო მეტი და უმჯობესი, ვიდრე დღეს, — ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, თითქოს მისი იყო, მას ეთქვას პირველად და ბოლოს ამაყად და, ცოტა არ იყოს, მედიდურად დაუმატა: — ასე ვეუბნები მე მათ ყოველდღე და, ინებეთ შედეგი, — ცხვირთან მიუტანა დუყი, — ორმოც ათას ფოთოლში ეს იყო ყველაზე უარესი, ხომ ასეა?

— ასეა.

— და ამ ყველაზე უარესსაც მე პირველ ხარისხად კი არა, „თაიგულის“ მასალად გავუშვებდი.

— გავუშვებდი რას მიქვია, — შუბლი შეიკრა პლატონმა, — მაშასადამე, „თაიგულის“ მასალაა ნამდვილად. — თქვა მტკიცედ. იგი კვლავ იმაზე ფიქრობდა, თუ რანაირად იმეორებდა ეს კაცი ზუსტად მის სიტყვებს. „როგორ თუ რანაირად? მაიას ხელი ურევია აქ ყველაფერში. აკი თქვა: რაც მაია ჩვენთანაა, თვალით არ მინახავს მეორე ხარისხი. სახე გაუნათდა, თავმომწონედ გადაიგრიხა ულვაში, გაიჯგიმა და ისე გაუწოდა ნესტორს ხელი, რომ ყოველი მისი მოძრაობა, სახისა და თვალების გამომეტყველება მხოლოდ ერთს ამბობდა: აი, მე ვარ ის კაცი, ვის სიტყვებსაც შენ ასეთი სიამაყით იმეორებ.

— მიცნობდეთ, მე პლატონ ჭილაძე გახლავართ, ნაფიქვნარიდან.

— პლატონი?! — წამოიძახა ნესტორმა. — მოხარული ვარ, ბაბუ, მოხარული, — ამბობდა და მაგრად ანჯღრევდა ფართო ხელში მოქცეულ პლატონის პატარა ხელს და როცა შეატყო რომ პლატონს მაინცდამაინც არ ხიამოვნებდა ეს და ტკივილისაგან სახეზე წამოწითლდა, შერცხა, თვალებში ჩახედა და უკეთ სხვა ხმით განაგრძო: — ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ხომ არ არის ჩვენი მოქმედება ცოტა სხვანაირი, უპატოსნო?

— უპატოსნო კი არა, სასახელო საქმეა, — უთხრა პლატონმა რიხით. — ვინ მოსთვლის რამდენი ათასი კილოგრამით მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაი მისცა ამ საქციელმა ქვეყანას...

— ეს კია, მაგრამ რა გზით, ბაბუ?

— ბიეს! — ადეთქვა თოფასწამალივით პლატონი — რავა რა გზით?! მაშასადამე, მეტი მონდომების გზით, უკეთესი მუშაობის გზით. რას ეუბნებით ჩვენ ხალხს? არ დაამაყოფილდე დღევანდელი წარმატებით, ხვალ მეტი და უკეთესად გაკეთეო...

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ, — ამოიხვნეშა თავისუფლად ნესტორმა და ახლა გაახსენდა, რომ თავი არ გაეცნო პლატონს, — მე ნესტორ ფარცვანია ვარ, ბაბუ, მაია ქოჩაკიძის ბრიგადის ჩაის ფოთლის მწონავი, — გაუწოდა ხელი, მაგრამ პლატონმა თავისი გაწითლებული ხელი უკან წაიღო და ქუდი მოუხადა.

დაბერა ქარმა. ზღვიდან ჯგრო-ჯგროდ მოჰქონდა ძონძებივით დაფლეთილი, წვიმით გაბერილი შავი ღრუბლები. იელვა. გაისმა გრგვინვა და სადღაც შორს ჭახანი გაადინა მეხმა.

აწკაპუნდა ჩაის ფოთლებზე წვეთები. საოცარი სისწრაფით და შხუილით მოჰქროდა წვიმის ტალღები. წინ ცხელი მტვრისა და გამხმარი მიწის სუნი მოუძღოდა, შხუილი თანდათან ძლიერდებოდა. გამაყრუებელი ძალა შეიმატა გზის გადაღმა მანდარინის პლანტაციაში, უცებ გამოვიდა გზაზე, ახმაურდა მიმღები პუნქტის ფარდულის თუნუქის სახურავებზე, მოედო მთელ პლანტაციას.

ნესტორი და პლატონი ფარდულში შეავიდნენ.

დაუშვა კოკისპირული წვიმა, ავარდა სველი მიწისა და ჩაის ფოთლის ძლიერი სუნი. წვიმას დგაფუნი გაჰქონდა ერთბაშად შეგუებულ წყალზე. ელვა ზედიზედ იკლაკნებოდა ცაზე, ჰექა-ქუხილით სცდებოდა ღრუბლები და აქა-იქ პირს იხსნიდა ლურჯად მოყვითალე ცა.

— მალე გადაიღებს, — უთხრა ნესტორმა პლატონს და წინ აეფარა. წვიმა ფარდულში ასხამდა.

— შეხედეთ, მაიას ბრიგადა გარეთაა! — ისე უცებ და მოულოდნელად წამოიძახა ვიღაცამ ფარდულში, რომ უნებლიეთ ყველა მისკენ მიბრუნდა.

— ნახეთ ჩვენი ახალი სოფელი? — ჰკითხა ხიამაყით და ხელი ჩამოართვა. — არ ვფიქრობდით, ასე უცებ ასეთი დიდი მშენებლობა თუ გაგვეშლებოდა. ჯერ ელსადგურის მშენებლობის დამთავრება გვინდოდა, ისაა ახლა ჩვენთვის მთავარი, მაგრამ ეს იცდის ხალხი, — მის ხმაში თითქოს საყვედურიც იყო და კმაყოფილებაც, — არ უნდა ტყე-ღრეში ცხოვრება. მოდი და შეაჩერე. თვითონ იშენებს სახლს ყველა თავისი ფულით, თავისი ქონებით. — გაჩუმდა, თითქოს ეს არის ახლა შენიშნაო თავსხმის გამო ფარდულში თავშეფარებული სტუმრები. — ეს რასა ჰგავს, იასონ? სად მოგიყვანია სტუმრები?!

— სად მივიდოდნენ უკეთეს ადგილას ბაბუ? — შეურაცხყოფილი ადამიანივით მოიღუშა ნესტორი. — ჩაის ფოთლის მიმღები პუნქტი მთელი ჩვენი მუშაობის სარკეა.

— დაიცა, დაიცა, ნუ აჭარბებ, ნესტორ, — გაუღიმა თავმჯდომარემ.

— რატომ? — გამოექომაგა ნესტორს პლატონი. — სარკეც არის და სახეც. აქ ჩანს ხარისხიც და რაოდენობაც. მაშასადამე, როგორ მუშაობს ხალხი. გადაავლე თვალი გოდრებს და თითქოს სარკეში ჩაგეხედოს.

— მართალი ხართ, პლატონ, თითქოს ეს მართლაც ასეა, — შეხედა თავმჯდომარემ პლატონს, — ახა, წამობრძანდით, მოისვენეთ, — მიბრუნდა მანქანისაკენ.

— არა, ჯერ მაია გვინდა ვნახოთ, — უთხრა მარიამმა. მას დაავიწყდა, რისთვის იყო აქ ჩამოსული. ახლა მხოლოდ მაია ახსოვდა, ის ედგა თვალწინ.

— აი, ჩემი ჭინკა გოგო, — თქვა ღიმილით და იქით მიბრუნდა, საითაც მაიასა და მისი ამხანაგების წვიალ-ყიყინი ისმოდა...

შენელებულიყო თქეში. ფარდულს გაშორებული წვიმის პირქუში კედელი სწრაფად მიიწევდა წინ, მთებისკენ. თან გაპყვა შავი, მუცელგაბერილი ღრუბლები და პლანტაციის თავზე, ზღვის მხარეს ცა უცებ გაიხარკა.

— გადაიღო, — თქვა თავმჯდომარემ, — კარგი, ჯერ მაია ვნახოთ. იქ ჩვენს საგუბარსაც გიჩვენებთ.

ნესტორმა სასწორი სხვას ჩააბარა და თვითონ მარიამს და პლატონს გაჰყვა. წინ იასონი, სარდიონი და მარიამი მიდიოდნენ, უკან პლატონი და ნესტორი.

მარიამი აკვირდებოდა გაფუსფუსებულ მწკრივებს. ნიადაგი ხარბად იწოვდა წყალს. არ იკარგებოდა არც ერთი წვეთი. ბუჩქები ისე გაესლართ, თითქოს ყველასათვის ერთნაირი ნახეკრადოვალური ფორმა მიეცათ. ბუჩქის ზედაპირი ამით საგრძნობლად გაფართოებულიყო.

ეს გვანცა იყო, არავის დაუნახავს, როდის მოვიდა. სირბილით გულამომჯდარი ძლივს იბრუნებდა სულს.

— წყალს აგდებენ საგუბარში. — ჩურჩულებდა და გორაკს გაპყურებდა. — რას უდგეხართ, გოგოებო? — შესძახა თავისი რგოლის წევრებს. — მოესწრებით ფოთლის ჩაბარებას, ჰაიდა, საგუბრებისკენ. გაიძრო ფეხსაცმელი, წინდები და გავარდა ფარდულიდან.

— უიმე, კრეპდეშინის ახალ კაბაში?!

— გადარეულია ნამდვილად.

— როგორ მიფრინავს ალმართზე!

— მეორე მაია გვეზრდება!

— ქაჯია სწორედ!

ისმოდა ნამოძახილები.

მარიამმა იასონს შეხედა.

— შეხედეთ, წყლის დასაპერად გამოვიდნენ! — წამოიძახა ამ დროს იასონმა და, პისკენ მობრუნებულ მარიამს რომ შეხედა, დაუმატა: — წყალზე ნადირობენ ჩვენი ქალები.

— წყალზე ნადირობენ?

— დიახ, ჩვენთან პლანტაციები ფერდობებზეა გაშენებული და ამიტომ გვალვა დიდი უბედურებაა მათთვის. მაიას თოოსნობით ტერასების თავში ღრმა ორმოები ამოვთხარეთ და წვიმის წყლით ვავსებთ. გვალვა ჩვენთვის უშიშარი გახდა.

— მაშასადამე, პლანტაციას რწყავთ?! — ახლო მივიდა პლატონი იასონთან.

— თითქმის ყველგან.

— და ეს გაკეთდა მაიამ? — პლატონის სახის გამომეტყველება კი ამბობდა: ჩვენმა მაიამ გააკეთაო.

დაინახა ეს მარიამმა, მიხვდა, რომ ყველა ამჩნევდა ამას, რა ექნა, არ იცოდა, როგორ ენიშნებინა პლატონისათვის, თავს ნუ მჭრიო. მაგრამ პლატონმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერ მიხვდა, თუ რა უნდოდა მისგან მარიამს, და ის იყო კიდევ რაღაცას თქმა დააპირა, რომ ამ დროს ფარდულის წინ მანქანა შედგა.

გაიღო კარი და გადმოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სარდიონ გეთია. საშუალო ტანის, მოკნილი და მარცი, იგი სწრაფად წამოვიდა მარიამისკენ. სამხედრო ყაიდით შეეერილ შარვალ-ხალთაზე ლაბადა ეცვა. მოძრაობაში, სიარულში, თითქმის მკაცრ სახეზე ერთბაშად დაინახავდით, რომ ეს კაცი თავისი გრძნობების, გულისთქმის გამომჟღავნებაში თავდაჭერილი და ძუნწი იყო. მაგრამ ახლა ვერ ახერხებდა ამას.

— თქვენს შესახვედრად მოვდიოდი, მაგრამ მშენებლობაზე შემაჩერეს, — შორიდანვე შეეხმიანა სტუმრებს. მივიდა, ის იყო ხელი გაუწოდა მარიამს ჩამოსართმევად, რომ შენიშნა ხელები დასვრილი ჰქონდა, მაგრამ არ დაირცხვინა, სწრაფად შეიენშინდა ლაბადის კალთით.

გრიგოლ ჩიქოვანი

„რა უქნია გვერდის ტოტების გასხვლას, — ფიქრობდა მარიამი, — როგორ გაუზრდია ზედაპირის არე, მართლაც რატომ არ უნდა მოეცა გვერდის ტოტებს დუყი. ამა, რამდენით მეტ ფოთოლს იძლევა ახლა ბუჩქი. მაია მიხვდა ამას, ჩემი მაია“.

სარდიონი მარიამის სახეზე კითხულობდა მის ფიქრსა და აზრს. ერთ ხანს ჩუმად მიყვებოდა გვერდით. არ უნდოდა ხელი შეეშალა, დაერღვია მისი ფიქრი. როცა მარიამი ერთ-ერთ ბუჩქთან შედგა, თავმჯდომარემ ვეღარ მოითმინა.

— ყველა წინააღმდეგი იყო გვერდის ტოტების შესხვლის, — უთხრა მარიამს, — ჩვენი აგრონომიც. მაგრამ მაიამ მაინც თავისი გაიტანა. არ დაერიდა არავის, არც უფროსს, არც უმცროსს. ქმარს რაიკომის ბიუროზე თავბედი აწყვეტინა, ისეთი გატაცებით. ისეთი დაჯერებით ამტკიცებდა თავის აზრს: გვერდის ტოტები ისევე ამოიყრიან დუყს, როგორც ზევითა ტოტებსო, რომ რაიკომის მდივანი ერთბაშად აიყოლია. მდივანმა იქვე ინგარიშა, რამდენად გაზრდიდა ერთ ჰექტარზე მოსავალს გვერდის ტოტების გასხვლა და იცით რა უანტასტიკური ციფრი მიიღო? ყველა გაოცდა. მაია კი ირწმუნებოდა, საოცარი არ არის არაფერი ჩვენს მუშაობაშიო, ჩვენს პიროვნებაში, ჩვენს მდგომარეობაში სასწაულებს უნდა ვახდენდეთო.

— ასეთი იყო ყოველთვის, — სიტყვა ჩამოართვა მარიამმა.

— მაიას ბრიგადის ნაკვეთია, — ფარფოდ გაბალა ხელი თავმჯდომარემ, თითქოს სტუმრებს განიერი ჭიშკარი გაუღოო. — შარშან მეზობელი კოლმეურნეობა „ცისკარი“ შემოგვიერთდა. ეს პლანტაცია მის ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადას ეკუთვნოდა. ორი ათას კილოგრამს ძლივს ჭკრეფდნენ ჰექტარზე. ბრიგადირი არ ვარგოდა. საჭირო იყო მისი შეცვლა, მაგრამ არავინ ისურვა, ვერ წავალთ ასეთ ბრიგადაში, ქვეყნის სახაცილოდ არ გავიხდით საქმესო, არ ვიცოდით, რა გვქნა, ვინ დაგვენიშნა, — შეხედა მარიამს. — დიახ, მაია გადავიდა მესამე ბრიგადიდან. ჯერ არავინ დაიჯერა, ეგონათ, ხუმრობსო. რად გიკვირთ, მე მუშაობა არ მეზარება, იქ კი, მუშაობაა საჭირო. იმ ბრიგადაში, სადაც ყველაფერი რიგზეა, ყველას შეუძლია საქმეს გაუძღვეს.

კოლმეურნეობა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ ქმარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. რას ჩადიხართ, რატომ ღუპავთ ქალს. მან მთავრობას და პარტიას სიტყვა მისცა, ახალი მაჩვენებლებით და მიღწევებით მოვალ შემდეგ თათბირზეო და თქვენ კი იქ ნიშნავთ, სადაც ოცდაათ ჰექტარ პლანტაციაში ერთი ბუჩქიც არ არის მოვლილიო. არც აქ დაიხია მაიამ და ცოლ-ქმარი აქაც წაეკიდნენ ერთმანეთს.

თავმჯდომარემ არ იცოდა კრებიდან შინ მიმავალ მაიასა და მის ქმარს შორის რა ითქვა იმ ღამეს.

შუაღამე გადასული იყო. შუკაში მიდიოდნენ. სოფელში სიწყნარე იდგა. ხანგამოშვებით სადმე კარი თუ გაიჯრაზლებდა, და ეს ხმა ი.ე ახლოს ისმოდა, თითქოს ყურის ძირში გიკეტავდნენ და გიღებდნენ.

მაია და გიორგი ხმას არ იღებდნენ, ისე იყვნენ წასული თავიანთ ფიქრებში, რომ სიბნელეს ვერ ამჩნევდნენ. არ გაუგიათ, როგორ გამოიარეს სოფელი და თავის ეზოსკართან მივიდნენ. არ უნდოდათ ჭერქვეშ ისე შესულიყვნენ, რომ არ ეთქვათ ერთმანეთისათვის თავისი გულისტკივილი, თავისი აზრი. ეს მეორე უსიამოვნება იყო მათ შორის და ორივე შეშფოთებით ეკითხებოდა თავის თავს: რატომ, რატომ მოხდა ეს? აღარ უნდა განმეორდეს არასოდეს, ახლავე უნდა ითქვას ყველაფერი ჩვენ შორის, ახლავე უნდა გამოირკვეს“.

მაიამ თავი ასწია, უკან გადაიყარა თავისი ურჩი თმა და გიორგიმ გაიგონა მისი შრიალი. რამდენჯერ შეხებია მას, რამდენჯერ დაუკოცნია. ეს ჩემი თმაა, ჩემი, და ახლა კი ისე სხვისად, არათავისად ეჩვენებოდა, რომ გული შეეკუმშა.

— მაია, — ხელი მოჰკიდა. მაიას ხელი ყოველთვის თბილი, დამყოლი და ნაზი, ახლა ცივად, მიუკარებლად და სხვისად ეჩვენა. — ყური დამიგდე, მაია, რა ჩაიდინე შენ ამედამ, რაში გაიბი თავი? — სხვა რაღაც უნდა ეთქვა, სხვა რამ, იმის შესახებ, რომ არასოდეს არ უნდა მოხდეს ჩვენს შორის უთანხმოება. — არ მესმის, რატომ მოიქეცი ასე, რამ გაიძულა? რატომ აგდებ შენს თავს საფრთხეში, რატომ ღუპავ შენს მომავალს, შენს სახელს?

— სახელს? — შეხედა მაიამ ქმარს, მაგრამ სიბნელეში არ ჩანდა მისი სახე, — სახელს? — გაიმეორა გაბზარული ხმით, — რა სასაცილოა ეგ სიტყვა და რა უადგილოა ახლა აქ.

— სხვა სიტყვას ვერ მოვიგონებ, მაია. გახსოვს შენი პირობა, გინდა გაამართლო ის, არ შერცხვე ქვეყნის წინაშე? — არ დაუცადა მაიას პასუხს, — აი, ეს არის სახელი... მაია, შენ შენმა დიდმა წარმატებამ გაგათამამა, აღარ იცი რა გაკეთო... გონს მოდი, მე შენს ბედს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ. შენ უარს ამბობ შენს ბრიგადაზე, ყველაზე მოწინავე და სახელოვან ბრიგადაზე მთელ რაიონში და გადადიხარ ისეთ ბრიგადაში..., — ენა დაება მღელვარებისაგან.

— სწორედ რომ ისეთ ბრიგადას, რომელსაც შველა უნდა, ფეხზე დაყენება ესაჭიროება, — განაგრძო მაიამ, — რომელიც არა მარტო ჩვენს კოლმეურნეობას არცხვენს, არამედ მთელ რაიონს, ნუთუ მხოლოდ ისეთ საქმეს უნდა მოეკიდო კაცი, სადაც საფრთხე არ ელის შენს სახელს, არ გეშინია შებღალო იგი?! ეს არის სახელი, გიორგი?!

— მაია... რატომ მაინცდამაინც შენ უნდა წახვიდე ისეთ დაქცეულ ბრიგადაში და არა სხვა? ხომ დაინახე, ყველამ უარი თქვა,

— „რატომ მაინცდამაინც შენ უნდა წახვიდე ასეთ დაქცეულ ბრიგადაში და არა სხვა?“ — გაიმეორა მაიამ. — რატომ სხვა, გიორგი? — ლაპარაკობდა სწრაფად, თითქოს დიდი ხნის დაგროვილმა სიტყვებმა გამოსავალი ნახაო, — გიორგი... გიორგი, ნუთუ შენი სიტყვებია ეს, შენ ლაპარაკობ ამას?

გიორგი თავდახრილი იდგა.

— ეს არასოდეს არ უნდა განმეორდეს, გიორგი.

თხოვნა და ვედრება ისმოდა მაიას ხმაში, მაგრამ გიორგის იგი ბრძანებად ეჩვენებოდა.

— არ უნდა განმეორდეს: „რატომ შენ და არა სხვა?“ — მაიას ცრემლი მოადგა თვალებზე.

— მაია, — შეკრთა გიორგი, — მაია!

— გაჩუმდი, გაჩუმდი, გიორგი! — შესძახა სულშეგუბებულმა მაიამ, შეტრიალდა უცებ, შეაღო ჭიშკარი და ოდისკენ გაიქცა.

გიორგი მარტო დარჩა. დიდხანს დადიოდა წინ და უკან შუკაში. მაშინ გამოერკვა, როცა ალიონმა შეანათა თვალებში. თავი ასწია. გაფითრებული იყო მისი სახე, უხაროდა, რომ მაია მართალი იყო. ისეთი ძლიერი და გულწრფელი იყო მისი სიხარული, რომ გულმა სოცარი ძალით მაიასკენ გაუწია. გაირბინა ეზო, გაიარა აივანი, შეაღო ოთახის კარი და საწოლის წინ შედგა.

მაია პირადმა იწვა. ალიონის შუქი ანათებდა მის სახეს, ბალიშზე მიმოფანტულ თმას, არასოდეს არ ჩვენებია მაია ასეთი ნაზი და ბომბისბლავი.

უნდოდა შეხებოდა მის ხელს, თმას, დაეკოცნა, ეთხოვა პატიება, მაგრამ ისე მშვიდად და ტკბილად ეძინა მაიას, რომ გიორგი განძრევას ვერ ბედავდა.

მაგრამ აი მაიამ ძილში იგრძნო ქმრის მზერა, ნელა გაახილა თვალი, შეხედა გიორგის, გაუღიმა.

— გიორგი, — წაიჩურჩულა და გაუშვირა ორივე ხელი...

2.

სარდიონს სტუმრები მოკლე გზით მიჰყავდა მაიასთან. ძმიმე ახასვლელი იყო, თითქმის ფრიალო ფერდობი. ფეხებზე გაკრული წითელ თიხას წარამარა იშორებდნენ. შეისვენეს ფარდულთან. აქ კოლმეურნეები დასვენების დროს პურს ჭამდნენ, აქ ინახავდნენ სამუშაო იარაღს, კალათებს, ტანსაცმელს, ახლა ფარდულის ერთ კუთხეში კულტივატორები იდგა და ბარები ეწყო.

პლატონი დააკვირდა ბარებს, მივიდა და აიღო ერთი.

— იცანით? — ჰკითხა თავმჯდომარემ, — ჩვენთან ამას მარიამ თვალთვაძის ბარს ეძახიან.

პლატონმა კმაყოფილებით ჩაახველა. წაიგრძელა ისედაც გრძელი კისერი და მის სახეზე კვლავ აღიბეჭდა: „ესეც ჩვენგან გადაგიღიათ, ესეც ჩვენგან გისწავლიათ“. ის იყო აპირებდა ამის თქმას, რომ მარიამის შეშფოთებულ სახეს შეხედა და თავი შეიკავა.

— ჩვენთან ახლა ასეთ, თორმეტ სანტიმეტრზე გადაჭრილ ბარს ხმარობენ, — განაგრძობდა სარდიონი.

— ეტყობა ბუჩქებს, — თავმომწონედ გაიჯგიმა პლატონი, — ვინ იტყვის, როგორ ... ფეხზე დაუენება ესაჭიროება, — განაგრძო მაიამ, — რომელიც ... ბრიგადაზე, ... ეს ... ბუჩქი ... ბრიგადაში ... ეს ... ბუჩქი ... ბრიგადაში ... ეს ... ბუჩქი ... ბრიგადაში

ქმნიან, აშენებენ...

რუმინეთის განთავისუფლების 15 წლისთავის გამო

დღეს რუმინელი ხალხი ზეიმობს ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების მე-15 წლისთავს.

1944 წლის 23 აგვისტოს, მთელ ფრონტზე საბჭოთა არმიის წარმატებით შეტევის პირობებში, რუმინეთში დაიწყო პატრიოტული აღლების აჯანყება, რომელსაც რუმინეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა. ფაშისტური რეჟიმი დაემხო.

შეიარაღებული აჯანყების გამარჯვება რუმინეთში სახალხო რევოლუციის დასაწყისს ნიშნავდა. მშრომელთა მასების ბრძოლამ, რომელსაც მუშათა კლასი და მისი პარტია ხელმძღვანელობდნენ, რუმინეთი დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სოციალისტური განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანა.

ბურჟუაზიულ-მემამულური რუმინეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. 1938 წელს ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის ხვედრი 54,9 პროცენტს უდრიდა, მრეწველობისა კი მხოლოდ 19,9 პროცენტს.

მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მხარდაჭერითა და ძმური დახმარებით რუმინეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ ისტორიულად მოკლე დროში შეძლეს დაეძლიათ ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა, განეხორციელებინათ დიადი გარდაქმნები.

ძველი რუმინეთის მიყრუებული ქალაქები ამჟამად უდიდესი ქარხნების მაჯისცემით ცხოვრობენ. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე აშენდა მთელ რუმინეთში და მის საზღვრებს გარეთაც კარგად ცნობილი ბერლადის ბურთულასკისრების ქარხანა, რომანის მილსაგლინავი ქარხანა, იასის ანტიბიოტიკების ფაბრიკა, ბოტოშანის საფეიქრო ფაბრიკა და სხვ.

მრეწველობის ამ გიგანტების მშენებლობაში მოძმე რუმინეთს უდიდეს დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები. რუმინეთისადმი დახმარებაში თავისი წვლილი ჩვენს რესპუბლიკასაც შეაქვს. 1957-58 წლებში რუსთავში რიული მილსაგლინავი დანადგარის მუშაობის ასათვისებლად ჩამოვიდა ქ. რომანის მილსაგლინავი ქარხნის 40 ინჟინერი, ტექნიკოსი და მუშა. ექვსი თვის მანძილზე ქართველი მუშები, სპეციალისტები და ქარხნის მთელი კოლექტივი დროისა და ენერგიის დაუშურებლად უზიარებდნენ რუმინელ სტუმრებს თავიანთ გამოცდილებას და ცოდნას.

სახალხო რუმინეთში უკანასკნელი წლების მანძილზე შეიქმნა მრეწველობის სავსებით ახალი დარგები:

წარმატებით ხორციელდება ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა. უკვე დღეს ელექტროსადგურების სიმძლავრე ორჯერ აღემატება იმას, რაც რუმინეთს ბურჟუაზიის ბატონობის პერიოდში ჰქონდა.

მომდინარე წლის დასასრულს რუმინეთის მთელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1948 წელთან შედარებით ოთხნახევარჯერ უფრო მეტი იქნება.

რუმინეთი ფეოდალიზმის უდიდესი დედმონაშთების მქონე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო.

რუმინეთის მუშათა პარტიის მიერ განხორციელებული სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში უდიდესი გარდაქმნების საფუძველი გახდა. ამ პოლიტიკის შედეგად განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მუშათა კლასმა დამშადა და სოფლის მეურნეობას გადასცა 44 ათასზე მეტი ტრაქტორი, ათეულ ათასობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

რუმინეთის სოფლის მეურნეობაში განვითარდა და განმტკიცდა სახელმწიფო სოციალისტური სექტორი. წარმატებით ხორციელდება სოფლის კოოპერირება. ამჟამად სოციალისტური სექტორი შეადგენს რუმინეთის სასოფლო-სამეურნეო ფართობის 67 პროცენტზე მეტს და უკვე აერთიანებს დაახლოებით 2,5 მილიონ გლეხურ ოჯახს.

სახალხო-დემოკრატიული მთავრობა უდიდეს ყურადღებას უთმობს კულტურისა და განათლების განვითარებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას, სანიაო მშენებლობას. ლაკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

* * *

რუმინელი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სახელოვანი ქართველი მეცნიერი, ნიჭიერი ორატორი, მხატვარი და პოეტი, მწიგნობარი და სახელმწიფო მოღვაწე ანთიმოზ ივერიელი. რუმინეთში მჩქეფარე მოღვაწეობით გარეულმა ანთიმოზმა არც სამშობლო დაივიწყა — თბილისში პირველი სტამბის დაარსება და აქ ანთიმოზის საუკეთესო მოწაფის მიხაი ოშტვანოვიჩის მოღვაწეობა მთლიანად მის სახელთან არის დაკავშირებული. ქართველი ხალხი და რუმინელი ხალხი ამ შესანიშნავი მოღვაწის სახელს უდიდესი მადლიერების გრძნობით იგონებენ.

... 1959 წლის 1 თებერვალი. რუმინეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებრ. ქ. იასის განყოფილებაში მრავალი იასელი შეიკრიბა. ამ დღეს იქ ეწყობოდა დამოუკიდებელი ქართველი პოეტის ბესიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. საღამო გახსნა ცნობილმა რუმინელმა პოეტმა ვიქტორ კერნბახმა. ბესიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გეორგი უნგურანუმ. დამსწრეებმა უდიდესი გულისყურით მოისმინეს თხრობა შესანიშნავ ქართველ პოეტზე, რომელმაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები იასში გაატარა და იქვეა დასაფლავებული.



ბუქარესტის პოლიგრაფიული კომბინატის „სკინტეიას“ სახლი.

* * *

რუმინელ ხალხსა და ქართველ ხალხს შორის ურთიერთობამ განსაკუთრებით ინტენსიური და მეგობრული ხასიათი უკანასკნელ წლებში მიიღო. რუმინელი ხალხი მშობლიურ ენაზე გაეცნო რუსთაველის უკვდავ პოემას. სულ მალე გაეცნობა „ქართულ ხალხურ ზღაპრებს“ და ნიკოლოს ბარათაშვილის ლექსთა სრულ კრებულს. დასახელებულ ნაწარმოებებს რუმინულ ენაზე თარგმნის პოეტი ვიქტორ კერნბახი. ამ რამდენიმე ხნის წინათ კერნბახი საქართველოში იყო. აქ გატარებულმა შვიდმა კვირამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ნიჭიერ პოეტზე. მისი წიგნი „ქვეყანა თოვლსა და ფოთოლ ლებს შორის“ — იმ დიდი შთაბეჭდილებისა და სიყვარულის პასუხია, რაც მან საქართველოში ყოფნის დროს განიცადა. ჩვენი ქვეყნით და ქართველი ხალხით მოხიბლულმა პოეტმა თავისი ფიქრები ლექსად გამოთქვა:

მათ თვალში მუდამ ცეცხლი კაჟკაჟებს,
მოგზიბლავს მათი დამწველი ემხი,
ტურფა ასულებს,
მამაც ვაჟკაცებს
თითქოს ასი მზე ჩაუდგამთ მკერდში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ქართველი პოეტები რჩებიან ვალში. დიდი ხანი არ არის, რაც ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუმინელი პოეტის გ. ემინესკუს ლექსთა კრებული. რუმინეთ-საქართველოს მეგობრული ურთიერთობა მარტო ლიტერატურული სფეროთი არ ამოწურება. სხვადასხვა დელეგაციების ურთიერთგაცვლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქართველ და რუმინელ სპორტსმენებსაც ბევრჯერ გადაუჯვარედინებიათ ხმლები. რუმინეთსა და საქართველოს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო ქმედითსა და მტკიცეს ხდის ურთიერთობას მთელ საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის.

* * *

ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებამ და სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა, მისი ადგილი და როლი საერთაშორისო ცხოვრებაში. სახალხო რუმინეთის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს მშრომელი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვას, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის დაცვასა და განმტკიცებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, სოციალისტური ბანაკის ხალხების მჭიდრო ძმურ ოჯახში, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, რუმინელი ხალხი მტკიცედ მიდის წინ სოციალიზმის გზით.

ლ. თეთრაძე.

გუჭარესტი. რუმინელი მჭსოველი ქალები სილვია უცე და სილვია გრიმაა.



ბ. კონსტანცა. კულტურის ხახლი შავი ზღვის სანაპიროზე.

ჩოგბურთელთა დიდი ასპარეზობის წინ

დედაქალაქის სპორტის მოყვარულები დიდი ინტერესით მოელიან საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას მოსკოვში საბჭოთა და უცხოელ ჩოგბურთელთა მონაწილეობით, რომელიც 23 აგვისტოს დაიწყება და ექვს დღეს გაგრძელდება.

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელებმა დაამთავრეს შეჯიბრება სპარტაკიადისა და სსრ კავშირის პირად პირველობაზე. გამოვლინდნენ ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონები.

სწორედ ეს ჩოგბურთელები, კერძოდ დმიტრიევა, მოზერი, ლიხაჩევი, კუზმენკო, ახდრეევი და სხვ. მონაწილეობას მიიღებენ მომავალ საერთაშორისო ასპარეზობებში.

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე არენაზე საბჭოთა ჩოგბურთელებთან ერთად გამოვლენ ინგლისის, საფრანგეთის, დანიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ცნობილი სპორტსმენები, რომლებსაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა სხვადასხვა საინტერესო ჩემპიონატებში, საერთაშორისო ასპარეზობებში. მათ შორის იქნებიან ულრიხი (დანია), დე ლა კურტი (საფრანგეთი), უორდი (ინგლისი) და სხვ.

საბჭოთა და გერმანელ მძლეოსანთა მატჩი

მოსკოვი, 22 აგვისტო. დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სპორტის მრავალი მოყვარული ესწრებოდა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას მძლეოსნობაში.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება 5.000 მეტრზე რბენაში, სადაც პირველი ორი ადგილი დაიკავეს საბჭოთა მძლეოსნებმა ა. არტინიუკმა და ე. ეუკოვმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლ. მიულერი და ა. კლეფელდი.

სიმაღლეზე ხტომაში ბრძოლას შერჩა ორი საბჭოთა სპორტსმენი რ. შავლაყაძე და ი. კაშკაროვი. რ. შავლაყაძემ დაძლია ორი მეტრი და 8 სანტიმეტრი. შეჯიბრება გრძელდება.

გერმანელმა სპორტსმენებმა — მ. გერმარმა და პ. ადამმა კარგი შედეგი აჩვენეს 100 და 800 მეტრზე რბენაში. საბჭოთა სპორტსმენებიდან მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში პირველი ადგილები დაიკავეს: თ. პრესმა, ბ. კალედინმ, მ. იტკინამ, ვ. ოსსეპიანმა და სხვ.

მძლეოსნობის რვა სახეობაში ჩატარებული შეჯიბრების შემდეგ ანგარიში იყო 48:29 საბჭოთა მძლეოსნების სასარგებლოდ.

შეჯიბრება გვიან საღამომდე გრძელდებოდა.

საერთაშორისო შეხვედრები

ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი არა მარტო წარმატებით გამოდის „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში, არამედ მაღალ სპორტულ შედეგებს აღწევს საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებშიც.

მორიგი საერთაშორისო შეჯიბრება სპარტაკელებს ჰქონდათ თავის მოედანზე სირიის საკლუბო გუნდთან „აქლისტიკალთან“. ბრძოლა ერევნელ ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

სსრ კავშირის პირველობაზე

კუიბიშევი, 22 აგვისტო. აქ გაიმართა სსრ კავშირის XXI პირველობის მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში. ადგილობრივი „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა კოლექტივი შეხვდა ჩემპიონატის ლიდერს მოსკოვის „დინამოს“. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 1:0.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ვოლეიბოლში. საგზატეხილო ველოსიპედრომში მოყვარულთა შორის გამარჯვება მეორეჯერ მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა ადოლფ შურმა. ტრეკზე ასპარეზობაში ჩვენი ველომრბოლების მაჩვენებლები დაბალი იყო.

⊙ საფრანგეთში დაიწყო ევროპის პირველობის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ 21 ქვეყნის ნაკრები გუნდები. მათ შორის არიან სსრ კავშირის, საფრანგეთის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების სპორტსმენთა კოლექტივები.

საერთაშორისო ოსტატის ვ. ბოგლიძის რედაქციით

ეტიუდი № 1

გ. ამირხანოვი (სარითიალა)



თეთრები: მფd5, კgg5, პ. d6 (სულ 3);
შავები: მფf8, ეe2, პ. f7 (სულ 3).
თეთრები იწყებენ და იგებენ.

* * *

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ № 7 ამოცანის სწორი გადაწყვეტა დამატებით გამოგზავნეს: გ. ერთგულაშვილმა (ს. ახმეტა), ქ. მზარულავამ, ღ. ქერიამ, კ. ყოფგუამ (ს. ხეთა), ზ. ტრაპაიძემ, თ. ტრაპაიძემ (ს. შუასურები), რ. კარტაშიანმ, ტ. ქირთბაიამ (თბილისი), ს. პაიკაძემ, შ. დარსაველიძემ (ბათუმი), რ. მიქაუტაძემ (ამბროლაური), პ. ცუცქირიძემ (ს. სვერი), შ. სვანიძემ (ქუთაისი), ე. მაღლაკელიძემ (ვანი), გ. მკავანაძემ (ს. როხი), ზ. აქუბარდიამ (ტყვარჩელი), ბ. ცქვიტაიამ (ს. ნაფიჩხოვო), ე. კოტაშვილმა (ს. ნიკორციხე), კ. ღუბელაძემ (ს. ახალსოფელი), შ. ესებუამ (წალენჯიხა), თ. ლეთოდიანმა (წულუკიძე), მ. გახარიამ (ს. ოდიში), ჯ. გაფრინდაშვილმა (ზუგდიდი), ქ. ტუხაშვილმა (ს. ანაგა), მ. კურტანიძემ (ხარაგოული), კ. ბოტკოველმა (ს. ფაღათო), ო. მეტრეველმა, ლ. სიჩინელაშვილმა, ე. შიაშმელაშვილმა (რუსთავი), რ. ქერთბაიამ (ს. ოტობაია), ა. ხარჩილავამ, უ. ლომიძემ (გორი), ჯ. ლეკვამ (დიდი ჯიხაში), ს. ქართველიშვილმა, ი. ბერელიშვილმა (ს. ბრილი).

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

რადიო

23 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთის „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება. 11.30 — ტარასლაცია მოსკოვიდან. 12.15 — სიმღერები მედუდუკეთა ანსამბლის შესრულებით, 12.45 — ნაწყვეტები ავსტროიელ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან, 13.00 — ცენტრალური გაზეთების მიმოხილვა (ჩაწერილი ფირზე მოსკოვიდან). 13.20— ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი, 14.00 —გადაცემა მოსწავლეთათვის. თბილისის პიონერთა სასახლის ბავშვთა გუნდის კონცერტი, 14.45 — საუბარი: „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალიზმის გზაზე“, 15.00 — კონცერტის ტარასლაცია ბაკვიდან, 15.40 — ლიტერატურული გადაცემა. გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობა „ბერძენი“, 16.15 — გადაცემა ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის ბერობაშვილის მოთხრობა „გამოქვაბული“, 18.00 — სტალინის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან (I და II ტაიმი). 21.20 — კონცერტი მფრინავთა დაკვეთით. 22.30 — გადაცემა — „რუმინული მუსიკის შემსრულებელი, მომღერალი მარიამ ლატარეცუ“.

ტელევიზია

23 აგვისტო

სალამოს

17.55 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოსა“ და სტალინოს „შახტიორის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები (გადაცემა თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან), 19.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 20.05 — კონცერტი რუმინელ მსახიობთა მონაწილეობით, 20.25 — კინოჟურნალი, 20.35 — კინონარკვევი „სამეფო ლაინერი“ (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება), 20.45 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.15 — ფინური მხატვრული ფილმი „შეუპოვარი გოგონა“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტიიერისა — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

ყოველი მხრიდან

გამალებული შეიარაღებისათვის

ვაშინგტონი, 21 აგვისტო. (საკდესი). პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა კონგრესს წერილი გაუგზავნა „სამხედრო დახმარებისათვის“, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისა და „სხვა მეგობარი ქვეყნების“ შეიარაღებისათვის ასიგნებათა საკითხის შესახებ.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, პრეზიდენტი ახლანდელ ასიგნებებს, რომლებიც წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა 1.400 მილიონი დოლარის ოდენობით, ახასიათებს როგორც „საშიშრად მცირე ასიგნებებს“ და მოითხოვს როგორც „მინიმალურად საჭირო“ ასიგნებებს „სამხედრო დახმარებისათვის“ 2.000 მილიონ დოლარის ოდენობით წელიწადში. პრეზიდენტი თავის წერილში აღნიშნავს, რომ იგი უფრო გვიან კონგრესს ახალ ასიგნებებს მოსთხოვს იმის დამატებით, რაც უკვე გამოჰყო წარმომადგენელთა პალატამ. კანონპროექტი ასიგნებათა შესახებ, რომელიც პალატამ დაამტკიცა, ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სენატს აქვს განსახილველად.

როგორც იუპის საინფორმაციო იუწყება, ეიზენჰაუერის წერილი სენატის და წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეთა სახელზე, პრეზიდენტმა გაგზავნა სპეციალური „დრეიპერის კომიტეტის“ მოხსენებასთან ერთად, კომიტეტისა, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტმა შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარგარეთ სამხედრო დახმარების მთელი საკითხის შესასწავლად. მოხსენება მტკიცე რჩევას იძლევა — გაგრძელდეს ეს დახმარება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების ინტერესებისათვის.

მოხსენებაში გადაკვრით არის ნათქვამი, რომ სახსრები, რომელსაც კონგრესს სთხოვენ სამხედრო „დახმარებისათვის“, ე. ი. იმ ხახელმწიფოთა შესაიარაღებლად, რომლებიც სამხედრო შეთანხმებებით არიან დაკავშირებული ამერიკის შეერთებულ შტატებთან, შეიძლება გამოყენებულ იქნას „ლოსის ტიპის მსგავსი“ ქვეყნებისათვის.

საბჭოთა დელეგაცია ბუქარესტში

ბუქარესტი, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუქარესტს ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 15 წლისთავის დღესასწაულში.

ბერძენ პატრიოტებს შორეულ საპყრობილეებში გზავნიან

ათენი, 20 აგვისტო. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, საბერძნეთის ხელისუფლები არ ელოდებიან იმას, რომ უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ განხილოს საკასაციო საჩივრები, და გლეზოსის საქმეზე მსჯავრდადებული დემოკრატები ათენის საპყრობილიდან სხვა საპყრობილეებში გადაჰყავთ სასჯელის მოსახდელად. გუშინ ათენის ავეროფის საპყრობილიდან კრეტის საპყრობილეში გადაიყვანეს ტრიკალინოსი და კარკაიანისი და კორფუს კუნძულის საპყრობილეში — ვუცასი და სიხგელაკისი. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ დამცველებმა ითხოვეს მსჯავრდადებულნი დაეტოვებინათ ათენში, თუნდაც მათი საქმის გამო საკასაციო საჩივრის განხილვამდე.

ამერიკული თანამგზავრის კაბინა ვერ იპოვეს

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც ამერიკის დესპეშათა სააგენტოები იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებისა და სატრანსპორტო გემების სპეციალური ჯგუფის მთელი ცდები აღმოეჩინა და წამოეღო ამერიკის „დისკავერერ-6“ თანამგზავრის კაბინა დღემდე უშედეგოა.

ეს ცნობა გამოაქვეყნა დღეს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ვაშინგტონში.

უცხოეთის ქრონიკა

◆ პეკინის მცხოვრებლებმა მიიღეს შესაძლებლობა გაეცნონ რუმინელი ხალხის მიღწევებს ბანდეროლებში, ტანსაცმლის, ტექნიკისა და ხელოვნების დარგში. რუმიხელი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას მოგვითხრობს გამოფენა, რომელიც გაიხსნა პეკინში. გამოფენის ექსპონატები მოწმობენ, რომ რუმიხეთი სწრაფად განვითარდა თხუთმეტ წელიწადში, რაც გვიდა რუმინეთში სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ.

◆ კაიროში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 31 აგვისტოს კაიროში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერის მიწვევით ჩავა საუდის არაბეთის მეფე საუდი.

◆ პრესის ცნობებით, ინგლისის რეაქტიული ბომბდამშენი „ვიქტორ-ვ-2“, რომელიც გადის გამოცდას და რომელსაც შეუძლია ატაროს წყალბადის ბომბი, ფრენიდან არ დაბრუნებულა. ფიქრობენ, რომ ბომბდამშენი ზღვაში ჩავარდა. თვითმფრინავს ეძებენ.

◆ საფრანგეთის შერბურის გემსაშენში სტაპელებიდან ჩამოუშვეს მეორე სანაღმოსნო ტრალერი, რომელიც შენდება დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის.

◆ საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ჟაბულში დე დიანუ ავდანეთის მთავრობამ გამოაცხადა პერსონა ნონ გრატად იმისათვის, რომ იგი ჩაერია საქმეებში, რომლებიც სცილდება მისი მოვალეობის ფარგლებს. ავღანეთის მთავრობამ სთხოვა საფრანგეთს მთავრობას გაიწვიოს ეს დიპლომატი ორი კვირის განმავლობაში. როგორც პრესა იუწყება, დე დიანუ ცდილობდა ჩამოეხია აფიშები, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ ქაბულში უჩვენებდნენ კინოფილმს „ჯამილას“, რომელიც მიძღვნილია ჯამილა ბუხირედის — ალჟირელი ხალხის გმირისადმი.

◆ ადის-აბებაში ეთიოპიის ინფორმაციის სამინისტროს შენობაში გაიხსნა გამოფენა ფოტოსურათებისა, რომლებიც მოგვითხრობენ იმპერატორ ჰაილე სელასიე I საბჭოთა კავშირსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ყოფნაზე.

21 აგვისტო. (საკდესი).

პირველი სტამბა საქართველოში

მომდინარე წლის ოქტომბერში 250 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც საქართველოში დაარსდა პირველი სტამბა, სტამბის შექმნამ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების განვითარებაში, საქართველო-რუსეთის კავშირურთიერთობის განმტკიცებისა და ამერიკაკავკასიის ხალხთა პროგრესული ძალების შეკავშირებაში.

შექმნილია იუბილეს მომზადების მთელი რიგი ღონისძიებანი, ღირსშესანიშნავი თარიღისათვის გამოიცემა წიგნები, ბროშურები, პლაკატები, რომლებიც ასახავენ ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარების ისტორიას. ქალაქებსა და სოფლებში მოეწყობა ქართული წიგნის ერთთვიური მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა მონაწილეობით. თბილისში გაიმართება სრულიად საკავშირო წიგნის ბაზრობა. კინოსტუდია ქართული ფილმი შექმნის მხატვრულ ფილმს საქართველოს პირველი მბეჭდავების ქართველი და რუმინელი ხალხების გამოჩენილი კულტურული მოღვაწის ანთიმოზ ივერიელისა და მისი მოწაფის მიხეილ ოშტვანოვიჩის შესახებ.

საიუბილეო ზეიმზე მოწვეული იქნებიან რუმინეთის მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი. გაიმართება აგრეთვე საქართველო-რუმინეთის კულტურული კავშირურთიერთობისადმი მიძღვნილი დიდი საღამო.

15 ოქტომბერს თბილისში მოეწყობა საზეიმო საღამო საქართველოში პირველი სტამბის დაარსების 250 წლისთავის აღსანიშნავად. (საკდესი).

ბუბა

23 აგვისტო

პირველი პროგრამით

11.00 — რადიოგაზეთის „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება. 11.30 — ტარასლაცია მოსკოვიდან. 12.15 — სიმღერები მედუდუკეთა ანსამბლის შესრულებით, 12.45 — ნაწყვეტები ავსტროიელ კომპოზიტორთა ნაწარმოებიდან, 13.00 — ცენტრალური გაზეთების მიმოხილვა (ჩაწერილი ფირზე მოსკოვიდან). 13.20— ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი, 14.00 —გადაცემა მოსწავლეთათვის. თბილისის პიონერთა სასახლის ბავშვთა გუნდის კონცერტი, 14.45 — საუბარი: „რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალიზმის გზაზე“, 15.00 — კონცერტის ტარასლაცია ბაკვიდან, 15.40 — ლიტერატურული გადაცემა. გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობა „ბერძენი“, 16.15 — გადაცემა ამერიკაკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებისათვის, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის ბერობაშვილის მოთხრობა „გამოქვაბული“, 18.00 — სტალინოს „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის რეპორტაჟი თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან (I და II ტაიმი). 21.20 — კონცერტი მფრინავთა დაკვეთით. 22.30 — გადაცემა — „რუმინული მუსიკის შემსრულებელი, მომღერალი მარიამ ლატარეცუ“.

ტელევიზია

23 აგვისტო

სალამოს

17.55 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამოსა“ და სტალინოს „შახტიორის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები (გადაცემა თბილისის „დინამოს“ სტადიონიდან), 19.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 20.05 — კონცერტი რუმინელ მსახიობთა მონაწილეობით, 20.25 — კინოჟურნალი, 20.35 — კინონარკვევი „სამეფო ლაინერი“ (თბილისის ტელესტუდიის გამოშვება), 20.45 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.15 — ფინური მხატვრული ფილმი „შეუპოვარი გოგონა“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტიიერისა — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

როგორც ღვიძლი ძმები...

მეგობრების მიმოწერა
რუსთავი — რომანი

კირიცა სტოიკა ხარბად იცქერებოდა მატარებლის ფანჯარაში და თან ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ შეხვდებოდნენ ახალ ადგილზე. კირიცას მხოლოდ გადმოცემით ჰქონდა წარმოდგენა რუსთავზე, ქართველებზე. ის ხომ პირველად მოდიოდა საქართველოში. და აი რუსთავიც... კირიცა სტოიკა ამერიკაკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში მიიღეს როგორც ღვიძლი ძმა. ქართველმა მეტალურგებმა იცოდნენ, რომ რუმინეთის ქალაქ რომანში შენდებოდა დიდი მილსაგლინავი ქარხანა. ამ ქარხანაში მონტაჟდებოდა საგლინავი დგანი „400“. სხვათა შორის ეს დგანი ჰგავს იმ დგანს, რომელიც აწყობილია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. აქ გასაკვირველიც არაფერია. ორივე აგრეგატი დამზადებულია ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში.

კირიცა სტოიკასთან ერთად რუმინეთიდან რუსთავში ჩამოვიდა 40 კაცი.